ᲝᲠᲒᲐᲜᲝ ᲡᲐᲫ. ᲡᲝᲪ.-ᲓᲔᲛ. ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠ-ᲒᲐᲠᲔᲗᲗᲔᲚ ᲑᲘᲣᲠᲝᲡ.
Organe du Bureau à l'Etranger du parti Social-democrate de Géorgie.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲐᲠᲝᲨᲐᲚᲘ

832
1959

"NOTRE DRAPEAU"

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘᲐ ᲜᲝᲔ ᲟᲝᲠᲓᲐᲜᲘᲐᲡ ᲛᲘᲔᲠ.

N° 30

Directeur: MICHEL STOUROUA.

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ:

Შ. Ს.—ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲐ.
ᲒᲠ. ᲣᲠᲐᲢᲐᲫᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲕᲐᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲙᲠᲫᲐᲚᲕᲐ.
Რ. ᲐᲠᲩᲔᲜᲘᲫᲔ—ᲒᲠᲘᲨᲐ ᲣᲠᲐᲢᲐᲫᲔ ᲓᲔᲡᲞᲐᲜᲘ.
ᲘᲚᲘᲐ ᲒᲣᲚᲓᲘᲐᲜᲘ—ᲒᲠ. ᲣᲠᲐᲢᲐᲫᲘᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲐᲡ.
Ჯ. ᲥᲐᲕᲗᲐᲠᲐᲫᲔ—ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲠᲘᲨᲐᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲐᲡ.
ᲒᲛᲠ. ᲑᲣᲚᲥᲕᲐᲫᲔ—ᲗᲐᲗᲘ ᲐᲜᲓᲔᲠᲫᲘ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲝᲕᲐᲚᲔᲝᲑᲐ.
ᲮᲡ. ᲡᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ—ᲬᲐᲠᲩᲘᲜᲔᲑᲣᲚᲗᲐ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ.
Რ. ᲐᲠᲩᲔᲜᲘᲫᲔ—ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲘ ᲐᲥᲡᲞᲔᲥᲢᲘ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲨ. ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡᲐ.
ᲮᲡ. ᲕᲐᲠᲓᲝᲨᲕᲘᲚᲘ—ᲒᲐᲙᲕᲠᲘᲗ.
ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲘ—ᲙᲝᲚᲐ ᲑᲐᲠᲜᲝᲕᲘ.
ᲐᲚ. ᲨᲐᲗᲘᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ—ᲕᲐᲚᲝᲓᲘᲐ ᲓᲝᲚᲘᲫᲘᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲐᲡ.
X.—ᲙᲕᲘᲠᲝᲜᲘ ᲟᲦᲔᲜᲢᲘ.
ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲘ—ᲕᲐᲚᲘᲙᲝ ᲦᲚᲝᲜᲢᲘ.
ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕ.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. ᲐᲞᲠᲘᲚᲘ. Paris.
1959

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაერთიანება.

საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის წევრთა სურვილი უცხოეთში—რეალობად იქცა.

დიდი ხანია თითეულ ჩვენთაგანს აფიქრებდა და აწუხებდა პარტიულ ძალების დაქსაქსვა, რადგან ყველას წარმოდგენილი გვქონდა, რომ საქართველოს ეროვნულ გამანთავისუფლებელ მოძრაობის უმთავრესი დასაყრდნობი ძალა—სოციალდემოკრატიული პარტია ვერ შესძლებდა ისტორიისგან დაკისრებულ მძიმე მოვალეობის შესრულებას ცალკე ჯგუფებად დაყოფილი...

ამ შეგნებით გამსჭვალული პარტიის თვითეული წევრი შეძლების დაგვარად ხელს უწყობდა ჩვენი ტრადიციების და წესების დაცვას, რათა ნიადაგი მოემზადებია პარტიული რიგების გამთელებისთვის. ცდებსაც უნაყოფოდ არ ჩაუვლია.

ამიერიდან სოციალდემოკრატიული ორგანიზაციები უცხოეთში წარმოადგენენ ერთ მთლიან ოჯახს, ერთ ცენტრალურ ხელმძღვანელობის ქვეშ დარაზმულ პოლიტიკურ ძალას, კვლავინდებურად დისციპლინით შეკრულს ქართული საქმის სამსახურში მუდამ ფხიზლად მდგომს...

უკანასკნელ წლეებში, ჩვენ დავკარგეთ საუკეთესო ძალები, ხელიდან გამოგვეცალა საუკეთესო მუშაკები. მტერიც ფიქრობდა, რომ დადგა დრო თავის მზაკვრულ ზრახვების განხორციელებისა,—და ჩვენს დასანგრევად მოიტანა იერიშები ბინძურ თავდასხმებით... ჩვენ მათ უპასუხებთ ჩვენი რიგების გამთელებით და მოუწოდებთ ადგილობრივად პარტიის თვითეულ წევრს დადგეს მიღწეულ ერთობის მტკიცე დამცველი და შემნახველი...

მომავალშიც ბრძოლა 'ძეიძლება დარჩეს ხანგრძლივი, მოქმედება რთული: ჩვენ შევძლებთ გადავლახოთ ყველა დაბრკოლებანი,—ერთობით, ჩვენი დროშის ამაყად ტარებით, რომელზედაც დღიდან ჩვენი პარტიის დაარსებისა აწერია—თავისუფლება ერის, თავისუფლება ადამიანის.

ჩვენი უპირველესი ამოცანაა—საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა. იქ სოციალური სამართლიანობის დამყარება. ამ წმინდა სოციალისტური და ეროვნული იდეალებით შეიარაღებულნი,—ამიერიდან ერთ რაზმად ქცეული ჩვენ შევძლებთ გამარჯვების დროშა სანაპიროზე გავიტანოთ.

ბ. ს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



გრ. ურატაძე
(1878—1959)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გრ. ურატაძის გარდაცვალება და დაკრძალვა

გრ. ურატაძის გარდაცვალება მწვავეთ განიცადეს ჩვენი პარტიის წევრებმა. ღრმა მწუხარებით შეხვდა მის მოულოდნელ დაკარგვას მთელი ქართველი საზოგადოება. მისი პოლიტიკური მოწინააღმდეგენიც, რომლებთანაც მას ცხარე კამათი ქონდა—პატივისცემით იხსენიებენ მას—როგორც ქართული საქმისთვის თავდადებულ მებრძოლს.

ორშაბათს 9 თებერვალს გრიშამ ცუდათ იგრძნო თავი. ორი დღის თავის ბინაზე ლოგინათ ჩაწოლის შემდეგ, 11 თებერვალს 12 საათზე გადაყვანილ იქნა საავადმყოფოში და იმავე დღეს საათის ხუთზე სამუდამოდ განშორდა წუთისოფელს.

სასწრაფოთ შეიკრიბა პარტიის საზღვარგარეთელი ბიურო და პარიზის კომიტეტი. შეერთებულმა სხდომამ გადასწყვიტა—ოჯახის წევრებთან ერთად მიეღო თავის თავზე დაკრძალვა. 14 თებერვალს მისი ქალიშვილის მედუნიას თხოვნით ცხედარი გადასვენებულ იქნა ეკლესიაში და მრავალ რიცხოვან საზოგადოების თანადასწრებით გადახდილი იქნა პანაშვიდი. ეკლესიიდან ცხედარი წაასვენეს ლევილში. აქ «შატო»-ს დარბაზში ამხ. კ. ქავთარაძემ მწუხარების ცხარე სიტყვებით მოიგონა მისი წარსული. რის შემდეგ სამგლოვიარო პროცესია გაემართა ძმათა სასაფლაოსკენ. ახლო ამხანაგებმა ნეხრებით გრიშას კუბო—სასაფლაოს შესავალიდან მიასვენეს მის ძვირფას მეუღლე და ყველასთვის სათნო ადამიანის ქ-ტონ არიანას სამარესთან. გზადაგზა გალობდა გუნდი,—რომლის ხმები თითქოს ამცნობდა გარშემო ქართველ პატრიოტთა საფლავებს გრიშას მათთან შემოერთებას. უცებ მთელი საზოგადოება შეკრთა, შეშფოთდა, ცრემლებმა დაალბეს მათი ლოყები, მათი გული დაისერა, სიბრალულის და მწუხარების ტალღებში შეცურდა, როცა დაობლებულ მედუნიას გულიდან «დედა-მამა», «დედა-მამა»-ს ძახილი აღმოხდა. ხმა თავზარდა მცემი, უნუგეშო, უმწეო... რამდენი სულიერი ტრაღედიაა—ჩაქსოვილი ამ მოვლენაში!..

მსხვერპლი უსამართლოების, მშობლიურ მიწის მოყვარული—ცხრა მთას იქით ცივ-უცხო სამარეში მიბარებული.. ჩაფიქრებული, თვალცრემლიანი დამსწრენი—ჩახედავენ ორ კუბოს, ორ ძვირფას ადამიანს გრიშას და არიანას... მათ დაობლეს ყველას გული და იქ ჩამარხეს ხსოვნა უკვდავი და წარუშლელი...

პარტიის საზღვარგარეთელმა ბიურომ და მედუნიამ მიიღეს მრავალი თანაგრძნობის წერილები და დეპეშები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დეპეშები და წერილები.

გრიშა ურატაძის გადაცვალების გამო წერილები და დეპეშები მიიღეს როგორც საქარ. სოც.-დემ. პარტიის საზღვარგარეთელ ბიურომ, ისე მისმა ქალიშვილმა მედუნიამ.

ვაქვეყნებთ მხოლოდ ზოგიერთ მათგან:

დამოუკიდებელ საქართველოს დემ. რესპ. ყოფილ მთავრობის სახელზე მოვიდა შემდეგი დეპეშა:

საქართველოს ყოფილ ეროვნულ მთავრობას
პ ა რ ი ზ ში.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკული საბჭო გულითად თანაგრძნობას გიცხადებთ, დამსახურებული პოლიტიკური მოღვაწის ძვირფას გრიგოლ ურატაძის გარდაცვალების გამო და გამოთქვამს დიდ მწუხარებას.

გამგეობის მორიგი თავ—რე ვ. აბაშიძე.
მდივანი ლ. არველაძე.

ნიუ-იორკი. 14 თებერვალი 1959 წელი.

——

საქ. ს.-დ. პ. სახ—ელ ბიუროს სახელზე მიღებულია:

ძვირფასო მეგობრებო!

გულწრფელ თანაგრძნობას უცხადებთ თქვენს პარტიას ენერგიულ და თავდადებულ პოლიტიკურ მოღვაწის გრ. ურატაძის გარდაცვალების გამო.

საქ. ს.-დემ. პარტიის სახ—ელი ბიურო.

——

30271

დიდის გულის ტკივილით მოვისმინეთ ცნობა, საქართველოს სოც.-დემოკრატიული პარტიის ძველი წევრის, გრიგოლ ურატაძის მოულოდნელად გარდაცვალების შესახებ. უერთდებით თქვენს მწუხარებას. გვაქვს იმედი, რომ სოც.-დემოკრატიული პარტია, კიდევ უფრო შეამჭიდროებს თავის რიგებს, და იბრძოლებს მედგრად, როგორც აქამდე იბრძოდა. გრიგოლ ურატაძემ თავისი გზა პირნათლად განვლო, მან მოიხადა ვალი ჩვენი ქვეყნის წინაშე. პირნათლად ემსახურა საქართველოს ეროვნულ განმათავისუფლებელ საქმეს და მშრომელ მასების ეკონომიურ და პოლიტიკურ უფლებების მოპოვების საქმეს. საუკუნოდ იყოს ხსენება მისი.

პავლე კვარაცხელია, თემურ სარჯველაძე,
ლადო არველაძე, ი. გაყონია, კ. კვარჯალაძე.

ნიუ-იორკი. 16 თებერვალი 1959 წ.

——

უერთდებით პარტიის მწუხარებას თავდადებულ მუშაკის გრ. ურატაძის გარდაცვალების გამო. იყავით მედგრად. შეჰკარით რიგები.

ლიონის ს.-დემ. ორგანიზაცია.

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვგლოვობთ თქვენთან ერთად დაუღალავ, თავდადებულ, მუშაკის—გრიშას მოულოდნელ გარდაცვალებას.

დიდია დანაკლისი ჩვენი პარტიისთვის. იყავით მხნეთ, დარჩენილებმა ღირსეულად განაგრძეთ ბრძოლა, გვიგულეთ თქვენს გვერდში.

სოშოს სოც.-დემ. ორგ—ციის დავალებით
ილ. სალუქვაძე.

——

დასავლეთ გერმანიაში მცხოვრები ამხანაგები გამოთქვამენ თავის უაღრეს მწუხარებას ჩვენი პარტიისთვის თავდადებულ მუშაკის, ჩვენი ძვირფასი ამხანაგის და მეგობრის გრიშა ურატაძის გარდაცვალების გამო.

ყველა ჩვენთაგანი მოწამეა მისი დაუღალავი და თავგანწირული მუშაობის ჩვენი ერის და პარტიის საკეთილდღეოთ.

ჩვენ ღრმად გვწამს, რომ მისი მოღვაწეობა თავისუფალი საქართველოს მიერ მადლობით იქნება აღნიშნული.

ამხანაგების მონდობილობით ალ. კოტრბაია.

——

კოწია, აკაკი, გრიშა.—რამდენი ერთი უნდა ვიტიროთ. სასტიკად განვიცდი და აკვნესებული გულით ვიზიარებ ერისა და პარტიის დიდ გლოვას, ამ უკანასკნელ სამეულის ასე ზედი-ზედ გამოშლით სამართლიანმა ბრძოლამ ერთხელ კიდევ საგრძნობი მარცხი განიცადა, მაგრამ ბრძოლა გრძელდება და უნდა გვწამდეს, რომ მისი შედეგი ძვირფას მიცვალებულთა სანუკვარ მიზანს გაანაღდებს.

ერ. რამიშვილი.

აზერბაიჯანელებიდან ნ. ცინცაძის სახელზე მოვიდა წერილი:

დიდის მწუხარებით გავიგე, რომ ქართველმა ემიგრაციამ დაკარგა კიდევ ერთი მოღვაწე თავის რიგებიდან—გრიგოლ ურატაძის სახით. ეს მეოთხე მძიმე მსხვერპლი გაიღო ქართულმა ემიგრაციამ ამ მოკლე ხანში.

აზერბაიჯანის ემიგრაცია იზიარებს თავის ძმების, ქართველების მძიმე მწუხარებას ამ აუნაზღაურებელი დანაკლისის გამო. გადაეცით განსვენებულის ოჯახის წევრთ, ქართულ ემიგრაციას და თქვენც მიიღეთ პირადათ ჩვენი თანაგრძნობა თქვენს საერთო მწუხარებაში.

აზერბაიჯანის ნაციონალური კავშირის თავმჯდომარე
ჯეიჰუნ ჰაჯიბეილი.

ქალბატონ მედუნია ურატაძის სახელზე მიღებული ტელეგრამები და წერილები:

ნიუ-იორკი: ღრმად დამწუხრებული გთხოვთ მიიღოთ ჩემი გულითადი თანაგრძნობა.

ირაკლი წერეთელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიუნხენი: ქართველი ხალხის აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწის და ჩვენი ინსტიტუტის თანამშრომელის გრიგოლ ურატაძის გარდაცვალების გამო ინსტიტუტის მეცნიერული საბჭო გიცხადებს თავის გულწრფელ თანაგრძნობას.

პროფ. პოგალო.

——

ნიუ-იორკი: მიიღეთ ჩვენი უღრმესი თანაგრძნობა ძველი დამსახურებული ამხანაგის, ერის თავისუფლებისათვის მებრძოლის გადაცვალების გამო.

«სოციალისტური ვესტნიკ»-ის რედაქცია:
აბრამოვიჩი, დენიკე, ნიკოლაევსკი, შვარცი.

——

მიუნხენი: მიიღეთ ჩემი უღრმესი თანაგრძნობა თქვენს მძიმე მწუხარებაში ჩვენი ღირსეული თანამშრომელის გრიგოლ ურატაძის გადაცვალების გამო.

ამერიკულ კომიტეტის მრჩეველი
საბჭოთა კავშირის შემსწავლელ ინსტიტუტისა
ფერედერიგსენ.

ამათ გარდა სამძიმრის დეპეშები გამოგზავნეს:

გერმანიის ქართულმა სათვისტომომ.
სოშოს ქართულმა სათვისტომომ,
აბონდანის ქართველობამ.

რომელნიც დიდათ გლოვობენ გრიშა ურატაძეს, როგორც კეთილშობილ ადამიანს, პოლიტიკურ მოღვაწეს და თავის ქვეყნისთვის თავდადებულს.

ამას გარდა ქ-ნ მედუნიას სახელზე მიღებულია მრავალი კერძო დეპეშა და წერილი.

აი მათი სია:

ფრიდონ და თეიმურაზ წულუკიძეები.
ქალბატონი ბარბარა ალშიბაია.
ივლიტა და მიხეილ ალშიბაიები.
ქალბატონი ბაბულია და კ. გვარჯალაძეები.
გ. ნაკაშიძე (არგენტინა).
გოლდმანი მეუღლით (ნიუიორკი).
როლან ასათიანი.
გ. კერესელიძე.
კიტა ჩხენკელი.
ანტონ ჟორჟოლიანი.
აკაკი პაპავა.
თამარ პაპავა.
ნინო წულუკიძე.
მირეი-მორო-ასათიანი.
თამარა შარაშიძე.
კარლო ინასარიძე.
ნიკოლაევსკი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ექიმი ვ. ჩხაიძე მეუღლით.
ნატალი ალენი.
ნიკო ნაკაშიძე (მიუნხენი).
ექ. გ. ვეფხვაძე.
ნ. ორაგველიძე.
რ. არსენიძე.
მოსე და ნიკო იმნაიშვილები.
ილია კუჭუხიძე.
ალ. კორძაია მეუღლით.
და სხვები.

არა ერთმა ცალკე მიუსამძიმრა საქ. სოც.-დემ. პარტიას და ცალკე მის ქალიშვილს მედუნიას.

მათში გადმოცემულია უდიდესი მწუხარება ამ თავზარდამცემი ამბის გამო.

ანტონ ჟორკოლიანი სწერს «ისე შევწუხდი და აგღელდი, რომ ფოსტალიონმა ბოდიში მოიხადა, «უკაცრავად, ექიმო, არ ვიცოდი, რა იყო შიგ, და მე ჩემი მოვალეობა შევასრულეო». ცრემლებს ვერ ვიკავებდი».

აი აკაკი პაპავა დასტირის: «ძვირფასი, პატიოსანი და ბოლომდე ერთგული და გამტანი ადამიანი დავკარგეთ; მართალია ხნოვანობით ახალგაზრდა არ იყო, მაგრამ ძველი, ჭაბუკური გული შერჩენოდა, დიდი ნება და ენერგია. ამიტომ გვეგონა, კიდევ დიდხანს გასტანდა ასეთი სიცოცხლე... ის ხომ ერთი ეპოქის ცოცხალი მატიანე იყო»...

ნიკო ორაგველიძე: «ჩვენმა ქვეყანამ და ქართველმა ხალხმა მასში დაკარგეს ერთი დიდი მოამაგეთაგანი, ჩვენი ხალხის საღათას ძილიდან გამომაღვიძებელი პირველი გუნდის წევრი; ქართულმა სოც.-დემ. პარტიამ კი მისი დაარსებიდან დღემდე მისი თვალსაჩინო წევრი და მოღვაწე, რომელიც ერთი წუთითაც არ მოსცილებია პარტიას და მის აქტიურ საქმიანობას. ის ჩვენი პარტიის ცოცხალი ისტორია იყო, იცოდა მისი ყველა ასავალ-დასავალი... იყავით დარწმუნებული, რომ თქვენთან ერთად დამწუხრებული და მგლოვიარეა მრავალი მისი მეგობარი, რომელთაგან ასეულებია მისი გამოზრდილი და ქვეყნისა და ხალხის სამსახურში ჩაყენებული».

ნიკო ნაკაშიძე: «მთელი თავის ცხოვრება გრიშა ურატაძემ ჩვენს ხალხს შესწირა და მისთვის იბრძოდა მუდმივ, და მიუხედავათ პოლიტიკურ მიმართულებათა განსხვავებისა, მას ვაფასებდით და პატივს ვსცემდით».

მეტათ მგრძნობიარე წერილებია ბევრისაგან მიღებული, ყველას ვერ ვათავსებთ, მაგრამ არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ჩვენი პარტიის დამსახურებული ხელმძღვანელთაგანის კოწია გვარჯალაძის და მისი მეუღლის ბაბულიას ღრმა გულითადი მწუხარება და ცრემლები ძვირფასი გრიშას დაკარგვის გამო.

მედუნია ურატაძეს მოუვიდა აგრეთვე მრავალი წერილი ფრანგ მეგობრებისა და საზოგადო მოღვაწეებისაგან, რომელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიც განსვენებულ გრიშას იცნობდენ და უაღრესი პატივისცემით ეპყრობოდენ.

გრიშა ურატაძის გარდაცვალების გამო მოკლე ბიოგრაფიული ცნობები გადასცეს მიუნხენის რადიო «თავისუფლება»-ს რედაქციებმა: ქართულმა, სომხურმა, თურქესტანულმა, ბელორუსულმა, ჩრდილო-კავკასიურმა, თათარ-ბაშკირულმა.

მოგვყავს აქვე ქართული რედაქციის გადაცემა, რომელიც მცირე ვარიაციებით გაიმეორეს სხვა რედაქციებმა.

სამგლოვიარო გადაცემა ქართული რადიო-რედაქცია 1959 წლის 12 თებერვალი.

თერთმეტ თებერვალს პარიზში ღრმა მოხუცებულობაში გარდაიცვალა ცნობილი ქართველი პოლიტიკური მოღვაწე გრიგოლ, იგივე გრიშა, ილარიონის ძე ურატაძე.

დაბადებული გურიაში, სოფელ აცანაში, გრიგოლ ურატაძე მოღვაწეობდა, როგორც სახალხო მასწავლებელი—ლანჩხუთში და იმავე დროს ეწეოდა რევოლუციურ მუშაობას გლეხებში. 1904 წლიდან მან თავი დაანება მასწავლებლობას და მთელი ენერგიით დაეწაფა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეობას. 1905 წლის რევოლუციური მოძრაობის ხანაში და შემდეგ წლებში. ის მუშაობდა გურიაში, სადაც სარგებლობდა დიდი პოპულარობით, როგორც სოც.-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწე, შემდეგ კი ქუთაისში და თბილისში, უპირველესად სოციალდემოკრატიული პრესის რედაქციებში. მეფის რეაქციის ხანაში მან ბევრჯერ იგემა პატიმრობა და გადასახლება.

1917 წლის რევოლიუციის შემდეგ, გრიგოლ ურატაძე მალე სამუდამოდ გადასახლდა ქუთაისიდან თბილისში. საქართველოს დამოუკიდებლობის ხანაში ის არჩეულ იქნა ჯერ პარლამენტის და შემდეგ დამფუძნებელი კრების დეპუტატად. ამავე დროს კი მუდმივად განაგრძნობდა მუშაობას გაზეთ «ერთობა»-ს რედაქციაში.

გრიგოლ ურატაძე ახალგაზრდობიდანვე იყო ახალ მეგობრულ დამოკიდებულებაში ნოე ჟორდანიასთან და სარგებლობდა მისი დიდი ნდობით. 1920 წელს ის გაიგზავნა საგანგებო რწმუნებულად მოსკოვში, საბჭოთა რუსეთთან ხელშეკრულების დასადებათ. მის მიერ არის ხელმოწერილი 1920 წლის შვიდი მაისის ხელშეკრულება, რომლითაც საბჭოთა რუსეთმა იურიდიულათ იცნო საქართველოს დამოუკიდებლობა.

ამ ხელშეკრულების საბჭოთა რუსეთის მიერ უხეშად დარღვევისა და საქართველოს დაპყრობის შემდეგ, გრიგოლ ურატაძე ხელახლა მოხვდა საპყრობილეში. გამოიშვა რა თავი მეტეხის ციხიდან, ის 1922 წელს გადმოვიდა უცხოეთში და მას შემდეგ მუდმივად ცხოვრობდა ემიგრაციაში, ჯერ პრაღაში და შემდეგ კი პარიზში. აქ ის თავის სიცოცხლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელ დღემდის განაგრძობდა პოლიტიკურ და ჟურნალისტურ მოღვაწეობას, როგორც რედაქციებში, ისე წიგნების და ნარკვევების გამოქვეყნების სახით.

განსვენებულმა წარუშლელი კვალი დასტოვა როგორც საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის, ისე ქართველი ერის ახალი ხანის და მისი განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიაში.

გრ. ურატაძის ბიოგრაფიები დაბეჭდეს: «სოციალისტურ ვესტნიკ»-მა, «ნაშე ობშჩეე დელო»-მ და სხვ.

გრ. ურატაძის კუბიკ ცოცხალი ყვავილების გვირგვინებით შეამკეს:

საქართველოს სოც.-დემ. პარტია.
ქართული ეროვნული საბჭო.
პარიზის ქართველთა სათვისტომო.
სოშოს სათვისტომო.
ქ-ნ ბაბო, ფრიდონ და ალე.
ვასო და მარგარიტა წულაძე.
ექ. ან. ყორყოლიანი.
ლევილის და სან-ჟერმენის თანამემამულეთაგან.
მიუნხენის რადიო-სადგური—«თავისუფლება».

ბ. კანდელაკის გარდაცვალების გამო.

ნიუ-იორკში ქართველთა სათვისტომომ გადაიხადა სამოქალაქო პანაშვიდი კ. კანდელაკის ხსოვნის საპატივსაცემოთ, რომელზედაც ფრიად შინაარსიანი სიტყვა წარმოსთქვა სათვისტომოს თავმჯდომარემ ბ-ნ ვ. კობახიძემ.

აკ. ჩხენკელის გარდაცვალების გამო.

ჩვენი ჟურნალის უკანასკნელ ნომერში გამორჩენილ იქნა, რომ სოშოს სათვისტომოს გამგეობამ ცოცხალ ყვავილების გვირგვინით შეამკო აკ. ჩხენკელის კუბო.

მ ი უ ნ ხ ე ნ ი.

ბერძნების ეკლესიაში გადახდილ იქნა პანაშვიდი კ. კანდელაკის და აკ. ჩხენკელის მოსახსენებლად. იმავე ეკლესიაში 3 მარტს გადახდილი იქნა პანაშვიდი გრ. ურატაძის გარდაცვალების გამო. ბერძნების ეკლესიის მღვდელმა თავის სიტყვაში აღნიშნა ქართველი ერის ტრაგედია და მისი ბრძოლა უცხო დამპყრობელების წინააღმდეგ. პანაშვიდის შემდეგ ქართველობამ თავი მოიყარა მიცვალებულთა ხსოვნის აღსანიშნავათ ცალკე ბინაზე ბ-ნ გ. ვეფხვაძის თავმჯდომარეობით.

სიტყვები წარმოსთქვეს რ. არსენიძემ, ალ. კორძაიამ, დ. საღირაშვილმა და ნ. იმნაიშვილმა. დასასრულ გრ. ურატაძის ძმის შვილმა დ. ურატაძემ მადლობით მიმართა საზოგადოებას, იმ პატივისცემისთვის, რომელიც მათ გამოიჩინეს მისი განსვენებულ ბიძის ხსოვნის აღსანიშნავად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გრიშა ურატაძე დესპანი.

გრიშა ურატაძეს ბევრი და დიდი დამსახურება მიუძღვის ქართველი ხალხისა და საქართველოს დამოუკიდებლობის წინაშე. იგი იყო ერთი პიონერთაგანი გურიის გლეხთა მოძრაობის, რომელმაც დიდათ გაითქვა სახელი მთელ საქართველოში და რუსეთშიც. ის იყო მუდმივი თანამშრომელი სოციალდემოკრატიული ჟურნალ-გაზეთების. ის იყო დაუღალავი, მოუსვენარი, მუდამ მოძრავი და სიცოცხლით სავსე მუშაკი სოციალდემოკრატიული პარტიის.

მაგრამ მის მოღვაწეობაში ყველაზე დიდ და მნიშვნელოვან აქტათ უნდა ჩაითვალოს მისი დესპანობა მოსკოვის კომუნისტურ ხელისუფლების წინაშე—საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის მოსაპოვებლად.

7 მაისის აქტი, რომლითაც ლენინის მთავრობამ იცნო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა და მის შინაურ საქმეებში ჩაურევლობა, არის გრიშა ურატაძის უდიდესი დამსახურება, რომელსაც საქართველოს ისტორიკოსი უდიდეს მიღწევათ აღნიშნავს.

მე გული მეწვის, როცა ამ ძვირფას მეგობარზე ვწერ, მიჭირს ისტორიულ ანალიზებზე გადასვლა. მაგრამ მაინც ვატან თავს ძალას.

ძნელი იყო საბჭოთა რუსეთის მთავრობისაგან ამ აქტის გამოგლეჯა. არანაკლებ ძნელი იყო ასეთი აქტის მოუპოვებლად უცხო სახელმწიფოთაგან ჩვენი ცნობის მიღება. გერმანია ხომ პირველი დღიდანვე ჩვენს დამოუკიდებლობას ელოლიავებოდა, მაგრამ მაინც ჩვენი ცნობისთვის წინასწარ მოსკოვს გამოსთხოვა თანხმობა. როგორიღა უნდა ყოფილიყო სხვა დიდი სახელმწიფოების დამოკიდებულება ამ საკითხისადმი! ლენინის მთავრობისაგან ცნობა გზას უკაფავდა ევროპის სახელმწიფოებს ჩვენს საცნობათ. გამოჩენილი ინგლისელი დიპლომატი კერზონი გვირჩევდა: «რუსეთთან მოაწყვეთ კარგი ურთიერთობა და მაშინ ყველაფერში დაგეხმარებით» ო. ე. ი. თუ რუსეთი გიცნობთ—ჩვენ ხელი გახსნილი გვექნება, რომ ეკონომიურად, პოლიტიკურად, მორალურად თქვენს გამაგრებას შევეცადოთო.

ნოე ჟორდანიამ ეს მისია გრიშა ურატაძეს დაავალა. და ეს დავალება პირნათლად იქნა შესრულებული. მაგრამ იცით როგორ პირობებში? თქვენ გგონიათ, დიდის ამალით, სპეციალისტების თანხლებით გაემგზავრა გრიშა ურატაძე მოსკოვისაკენ? ჩვენ ყველას გვინდოდა, რასაკვირველია, რომ ეს ასე ყოფილიყო; მაგრამ იმ ხანაში ამაზე ოცნებაც კი არ შეიძლებოდა. სამოქალაქო ომი მძვინვარებდა მთელ რუსეთის თვალუწვდენელ სივრცეზე. მისი ტალღები გაძალებით ეხეთქებოდენ კავკასიის მთებს. ბაქო და აზერბაიჯანი უკვე კომუნისტურ ჯარების ხელში ჩავარდა. მაშასადამე შემოვლილი იყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავკასიონი—ჩვენი სიმაგრე. არც გზა იყო მოსკოვისაკენ, არც მისავალი. გრიშა ურატაძე მაინც დაადგა გზას. შავი ზღვის ნაპირებს გაჰყვა; ხან თეთრები ხვდებოდენ წინ, ხან წითლები —ყველას უნდა გაძრომოდა ხელიდან. როსტოვში ჩასულს, სერგო ორჯონიკიძე—საქართველოს დემოკრატიისადმი სიძულვილით და მტრობით აღვსილი, უკან დაბრუნებას ურჩევდა, წინ წასავალი საშვალება არ მისცა. გრიშა მაინც არ ცხრება. იგი ყოველდღე როსტოვის სადგურზე გადის, ეძებს შემთხვევას მოსკოვისაკენ მიმავალი ან მატარებელი ნახოს, ან რაიმე სხვა საშვალება! შეეყრება ერთ დღეს კომუნისტ სოკოლნიკოვს, რომელიც სპეციალური მატარებელით მიდის მოსკოვისაკენ. ახერხებს მის დაჯერებას, რომ ის დესპანათ მიდის ლენინთან და მის მატარებლის ერთ ვაგონში პოულობს ადგილს. მოსკოვში კიდევ უფრო მძიმე პირობებში უხდება მოქმედება. საქართველოსთან დალაპარაკების საშვალება მეტად გაძნელებულია. პირდაპირი მავთული ხან არ მოქმედებს, ხან კიდევ არ აძლევენ მას. მაგრამ არავითარი დაბრკოლება არ აჩერებს მის მოუსვენარ სულს. დავალება უნდა შესრულდეს! მძიმეა პირობები? მით მეტი ენერგიის გამოჩენაა საჭირო. და ის არ ზოგავს თავს. ბოლოს ხელშეკრულება დაწერილია და ხელმოწერილი. ამას მოჰყვა საქართველოს ცნობა ბევრ დიდ და პატარა სახელმწიფოს მიერ.

მალე გასტეხა ლენინმა თავისი სიტყვა, მაგრამ ეს აქტი დარჩა, როგორც ნიმუში მისი მუხანათობის, უპირობის. ეს აქტი გახდა ჩვენი დამოუკიდებლობის ფარი და ხმალი. იგი გვიკაფავს გზას ევროპის დიდ და პატარა სახელმწიფოებისაკენ, იგი დღესაც ბრძოლის იარაღათ არის ქცეული. შვიდი მაისის აქტით მივდივართ ჩვენ თავისუფალ კაცობრიობის სინდისთან და ვახერხებთ საზოგადოებრივ აზრის შემოტრიალებას ჩვენი ქვეყნის უდაო უფლებების სასარგებლოდ.

ამის მეტი რომ არაფერი გაეკეთებია გრიშა ურატაძეს, იგი მარტო ამით იქნებოდა ღირსი ჩვენი მატიანეს ფურცლებზე სახელოვნად აღბეჭდილიყო.

მაგრამ მას ბევრი სხვა სამსახურიც მიუძღვის უანგარო, უმწიკვლო, ყოველ პირადულ ინტერესისაგან თავისუფალი!

რა დაგრჩა ყველა ამის შედეგათ, ჩემო გრიშა, ჩემო მეგობარო? მხოლოდ სახელი და ღირსება! მაგრამ ეს დაუფასებელი განძია! ჩემი გულიდან არასდროს ამოვარდები! შენს მადუნიას იმითღა ვანუგეშებ, რომ შენ საქართველო არ დაგივიწყებს. შენ დაიმსახურე ქართველი ერის პატივი. საუკუნო ხსენება და სახელი შენი, თვით შენი საქმით გამოსჭედე! ქართული მატიანე უკვდავთა რიგებში მოგიხსენიებს.

გულდაწყლულებული გემშვიდობები, ჩემო გრიშა! შენი კარგი არიანას გვერდით გაქვს ბინა! და მასთან ერთად მიგიწვევს განთავისუფლებული საქართველო თავის წიაღში განსასვენებლად!

რ. არსენიძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გრ. ურატაძის ხსოვნას.

გრიშა ურატაძის გარდაცვალებით ჩვენ კვლავ დავკარგეთ კიდევ ერთი საქართველოს თავისუფლებისათვის მებრძოლი ვეტერანთაგანი. მისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილი მან მოახმარა სამშობლოსათვის ბრძოლას და მისი ხალხის განთავისუფლებას.

გრიშა იყო საერო საქმისათვის უაღრესად ერთგული და თავგანწირული, დაუშრეტელი ენერგიის ადამიანი, დაუზარებელი მუშაკი. მისთვის არ არსებობდა განსაზღვრა შრომის, დრო დასვენების, ფენომალური მეხსიერების პატრონი თავის ენა წყლიანი, მოქნილი, ლოღიკური არგუმენტაციით აწყობილი სიტყვით დიდგავლენას ახდენდა მსმენელებზე. სწრაფი მოაზროვნე ყველა რთულ პირობებში პოულობდა შესაფერ გამოსავალს. მის ახლად გაჭრილ საფლავზე მინდა მოვიგონო ერთი შემთხვევა:

1917 წ. რევოლიუციამ გრიშას ქუთაისში მოუსწრო, სადაც ის დაუყონებლივ ჩაუდგა სათავეში მუშათა დეპუტატების საბჭოს. მაშინვე მის წინაშე წამოიჭრა გადასაჭრელათ მეტათ მძიმე და სახიფათო პრობლემა—როგორ უვნებლათ გადაარჩინოს ქუთაისის მშვიდობიანი მოსახლეობა ჯარისკაცთა ბრბოს მიერ შესაძლებელ დარბევისაგან. საქმე იმაში იყო, რომ 1917 წ. დასაწყისში ქუთაისში თავი მოიყარა 20.000 რუსის ჯარისკაცმა, რომელშიდაც შედიოდენ სხვადასხვა ეროვნების ჯარისკაცებიც. ამ ჯარისკაცთა მასაში ტრიალებდა ორი სხვადასხვა სულისკვეთება. ერთი ნაწილი ამ ჯარისკაცებისა იყვნენ ახლად გაწვეულნი სამხედრო ბეგარის მოსახდელათ და მათ ამაცადინებდენ, მეორე ნაწილი კი შესდგებოდა ძველი ჯარისკაცებისაგან, რომლებიც იყვნენ ფრონტიდან მოსულნი ავადმყოფობის გამო, უცდიდენ გაჯანსაღებას და ითვლებოდენ რეზერვში ქუთაისის პოლკში.

მათი მორალი იყო დაცემული, განსაკუთრებით ძველი ჯარისკაცების, რომლებიც ვერ ურიგდებოდენ ფრონტზე გაბრუნების პერსპექტივას.

ეს 20.000 ჯარისკაცი საშიშროებას წარმოადგენდა ქალაქის მშვიდობიან მცხოვრებთათვის, რადგან არეულობას და უწესრიგობას უკვე ქონდა ადგილი. ამ მდგომარეობას ამწვავებდა კიდევ ის, რომ რამოდენიმე დღის წინათ სამხედრო სასამართლოს დადგენილებით დახვრეტილ იქნა სამი ჯარისკაცი ოფიცრის მკვლელობისათვის. მათი გვამები დამარხულ იქნენ დახვრეტის ადგილზე, ოთხი კილომეტრით ქუთაისიდან ხონისაკენ მიმავალ გზაზედ. ჯარასკაცები მოითხოვდენ მათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამხედრო წესით დასაფლავებას ქალაქის სასაფლაოზე. უარის თქმა ამ მოთხოვნილებაზე იყო მეტად ძნელი, ქუთაისის სასაფლაო იმყოფებოდა ქალაქის მეორე მხარეზე. პროცესიას უნდა გაევლო მთელი ქალაქი, მოსალოდნელი იყო პროვაკაცია ჯარისკაცთა მხრივ. მღელვარება იზრდებოდა კიდევ უფრო იმით, რომ მოხსენებულ სამი ჯარისკაცის დახვრეტა სისრულეში მოიყვანა ქუთაისელმა ქართველმა ოფიცერმა კაპიტანმა შენგელიამ.

აი ეს მძიმე პრობლემა დაისვა გრიშას წინაშე. როგორც თავმჯდომარე მუშათა დეპუტატების საბჭოსი, ის წარმოადგენდა ქუთაისის მცხოვრებლებს, მას აწუხებდა რომ რაიმე პროვაკაცია არ მომხდარიყო. შეერთებულ სხდომაზე ჯარისკაცთა და მუშათა დეპუტატების პრეზიდიუმისა გრიშამ დაყენებით მოითხოვა პატივით დასაფლავება ამ ჯარისკაცების, თავის თავი დააყენა ჯარისკაცთა დეპუტატების პრეზიდიუმის განკარგულებაში და აღუთქვა ყოველივე დახმარება. მისმა მონაწილეობამ გამოიღო უდიდესი ნაყოფი, როგორც ეს შემდეგ გამოირკვა, და მშვიდობიანი მცხოვრებნი ააცილა სისხლის ღვრას.

დასაფლავებისათვის დანიშნულ დღეზე პრეზიდიუმი გამოცხადდა დახვრეტის ადგილზე და შეუდგენ გადმოსვენებას სამხედრო ცერემონიალით. გამოირკვა, რომ კაპიტანი შენგელია, რომელსაც უნდა მიეღო მონაწილეობა, არ გამოცხადდა, ამან გამოიწვია დიდი მღელვარება, გაისმა მუქარის ხმები და ჯარისკაცებმა განაცხადეს, რომ ჩვენ წავალთ მოვძებნით და ძალით მოვიყვანთ შენგელიასო.

შეიქმნა მეტათ კრიტიკული მომენტი. გრიშამ იხსნა მდგომარეობა: მოკლე და დამაჯერებელი სიტყვით მიმართა მან პრეზიდიუმს და სთხოვა ცოტა კიდევ დაეცადათ და თვითონვე მოიყვანდა შენგელიას. მართლაც წავიდა და თვითონვე მოიყვანა შენგელია. პროცესიას ხელმძღვანელობდენ პრეზიდიუმის წევრები ოფიცრები სოსო გეგელაშვილი (რომელიც შემდეგ გახდა კაბინეტის დირექტორი შინაგან საქმეთა მინისტრის) და კოლია მაჭავარიანი (შემდეგ გახდა სენატორი). სამხედრო ყარაულმა მიიღო კაპ. შენგელია, რომელ მაც მათთან ერთათ შეასრულა სამხედრო რიტუალი.

ქუთაისის მცხოვრებნი გადარჩენილ იქნენ. პროცესია გაგრძელდა მთელი დღე და ჩატარდა მშვიდობიანათ.

გრიშას მეოხებით დაწყნარდენ ქუთაის მცხოვრებნი. ეს იყო მის მიერ პირველი ჩაყრილი საძირკველი ხალხის დასაცავათ, რაც დაუვიწყარი დარჩება მის მრავალფეროვან მოღვაწეობაში.

ილია ბიჭლიშანი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩვენი გრიშას ხსოვნას.

მე პატარა, დაწყებითი სკოლის მოწაფე ვიყავი, რომ გრიშას შემთხვევით შევეყარე.

მახსოვს,—განსვენებულს ამ ჩემი პირველი შეხვედრის ამბავს მოვაგონებდი, ის სიცილში და გახუმრებაში აბნევდა ჩემ მოყოლას—მომიალერსა, თავზე ხელი მომისვა, დამარიგა, დავშორდით...

გავიდა ათეული წელი, მე უკვე გიმნაზიის უკანასკნელი კლასის მოწაფე ვარ, ჩემ სოფელში ვიმყოფები. ეს ის წინა დრო იყო, როდესაც რუსეთ-იაპონიის ურთიერთობა ღია და მწვავე კონფლიქტში შევიდა. ყოველ დღე ომის ატეხას და საომარი ოპერაციების დაწყებას ელოდენ.

შიგნით «ღალატის სუნი დადგა». აქა-იქ ჯერ კიდევ სპორადიულათ სამრეწველო ცენტრებში მუშათა გაფიცვები ეწყობოდა, ქუჩაში კი მანიფესტაციები იმართებოდა. ასეთი იყო შინ და გარეთ საერთო ვითარება, როცა ერთ საღამოს ფარული ადგილობრივი სოციალდემოკრატიული უჯრედის სხდომაზე მიმიწვიეს.

ამ კრებაზე ზოგადი მოხსენებიდან გავიგე, რომ სოფელში თუ ქალაქში ფარული სოც.-დემ. უჯრედების ქსელია გამბული, რომლის წარმომადგენლები თავს იყრიან რაიონებში, მერე მაზრებში და ასე... ამ უჯრედებს აარსებს, ხელმძღვანელობის ერთი ცენტრი, რომლის ადგილი, შემადგენლობა, ვინაობა თითქმის არავინ იცის და არც უნდა იცოდეს. ასე ამბობდენ, რომ ეს კომიტეტი განწესებული და მოვლინებულია შორიდან, ის რაღაც მისტიურ ბურუსში იყო გახვეული, მის შესახებ ბევრი რამ ისმოდა, ლეგენდებიც ითხზებოდა, ბევრ რამეს ყალბს თუ მართალს მას აწერდენ, მაგრამ ერთი კი ცხადი იყო: კომიტეტის მორალური გავლენა თითქმის უსაზღვრო იყო, სოფელი მას უსმენდა, მისი სჯეროდა, მის კარნახს იღებდა და ასრულებდა.

იმავე ზაფხულში მრავალ სოფელთა სოც.-დემ. უჯრედების და თანამგრძნობთა ფარული კრება მოეწყო. ეს კრება გაიმართა სოფ. აკეთის და ნაგომრის მიჯნაზე, მდინარეს პირას. მე და ჩემი სოფლის უჯრედი დანიშნულ დროზე საპაემანო ადგილზე დავბანაკდით, ვხედავთ, სხვადასხვა საცალფეხო ბილიკებიდან მოწვეულნი ფრთხილათ ფეხ-აკრეფით მოდიან. ხალხი დაგროვდა, აქეთ-იქით მიჯდენ, ჩამოჯდენ.

ზაფხულის ღამე იყო, წყნარი, საამო. სრული მთვარე არე-მარეს ძლიერათ ანათებდა, ცის ტატნობზე აკრულ ვარსკვლავთა ჯგუფიდან, ხან ერთი ვარსკვლავი, ხან მეორე თავის არეს მოწყდებოდა და სადღაც სივრცეში იძირებოდა. ბუნება მიყუჩდა, არაფერი არ ინძრევა, არც ირხევა, მგონი მდინარემაც შეაჩერა თავისი დენა, თითქო არ უნდა თავისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დუდუნით კრებულ წევრთა განცდები, ჩუმი აღტყინება შეარყიოს. ველით.

კრებული შეინძრა, ვხედავ წამომდგარ პიროვნებას ყაბალახში გვარიანად შებუდრულს, რომელიც იწყებს ლაპარაკს. მისი სიტყვა ქადაგებაა, აღგზნებული მოწოდებაა ამ ქვეყნათ სიმართლის და თავისუფლების დასამკვიდრებლათ. კრება მას სულგანაბული უსმენს, მის აზრებს იჭერს და გულში იკრავს, გრძნობს, რომ კრებული და სიმართლის მოციქული ერთი მეორეს დაემოყვრენ, მაშვრალთა და ჩაგრულთა ერთობა შეიკრა, საიდანაც ხატი ამოაძვრინეს და კრებამ ერთხმათ ერთობას შეფიცა.

მალე ხალხი გათამამდა, კრებების მოწვევა გახშირდა და უკვე აცანაში—გრიშას სოფელია—სამართველოდან მოშორებით, დღისით დიდი კრება შესდგა, იქ ხელახლა გავეცანი გრიშას, მოვაგონე ჩვენი ათი წლის წინეთ შემთხვევითი გაცნობა.

კარგი იყო გრიშა, მეტყველი სახე, აზრიანი თვალები, გრძნობით მოლაპარაკე.

რუსეთი ომში შესულია; იაპონელები უტევენ, რუსები იხევენ; შინ ხალხთა ძლიერი ღელვა დაიწყო: გლეხები მემამულეების მიწას ეუფლებიან, მათ ბოკიოტს უცხადებენ, ქალაქებში გაფიცვები, დემონსტრაციებია... ტახტი ირყევა, მართველობა იბნევა.

გურია მოამზადებულათ, მწყობრათ რუსის ხელმწიფის აგენტებთან ყოველგვარ ურთიერთობას სწყვეტს, აარსებს სოფელში თემურ მართველობას, ოზურგეთი—გურიის დედაქალაქი გადადის ხალხის ხელში, ქართული სასამართლო არსდება, შკოლების რეორგანიზაცია ქართულ ნიადაგზე ეწყობა. ამ რიგათ გურიის რესპუბლიკა იშვა და გამოცხადდა. ჩვენი გრიშა აქ იყო, ამ საქმეს ემსახურახურა წლობით, ამ მოძრაობაში ჩასდო მან თავის სული, ნიჭი და გატაცება. გრიშამ გაიმარჯვა, გურიის რესპუბლიკის სახელი გასცილდა საქართველოს, გადავიდა რუსეთში, ზოგში გამოიწვია წყრომა და აღელვება, ზოგში კი თანაგრძნობა.

ოზურგეთში მრავალრიცხოვან მიტინგზე ი. ნაკაშიძე კითხულობს ლ. ტოლსტოის წერილს, რომელშიც დიდი მწერალი ესალმება გურიას.

გრიშას მიწიური ცხოვრება დასრულდა, მიწიური მიწას მიებარა, მარა რაც ციურია ადამიანში: კეთილი აზრი, წმინდა საქმე, მშრომელი ერის სამსახური, ის უკვდავია და სამუდამოდ დარჩება. ამ მხრივ გრიშა უკვდავია; მას საქართველო—კერძოთ გურია, სადაც მან კეთილი აზრები თესა, ჩვენი გრიშას ხსოვნას მუდმივ შეინახავს.

მე კი შენთან შეზრდილი და შეთვისებული, ჩემო გრიშა, ვტირი და ვგლოვობ შენგან დროებითი დაშორებას.

ე. ქავთარაძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მათი ანდერძი და ჩვენი მოვალეობა.

> «აღარ გვყავს აღარც კოწია და აღარც აკაკი. დიდი ხანი არაა მას შემდეგ რაც კოწიას დასაფლავებასე აკაკიმ სამგლოვიარო სიტყვა წარმოსთქვა. დღეს კი—დახეთ ბედის სიმუხთლეს—ორივეს ნეკროლოგს ერთათ ვათავსებთ»...

ასე იწყებდა თავის წერილს გრიშა ურატაძე «ჩვენი დროშა»-ს 29 ნომერში, რომლის უკანასკნელ გვერდზე დაბეჭდილია საქართველოს სოც.-დემ. საზღვარგარეთელ გაერთიანებულ ბიუროს და ყველა, უცხოეთში მყოფ პარტიული ორგანიზაციების სამგლოვიარო განცხადება გრიგოლ ურატაძის მოულოდნელად გარდაცვალების გამო.

«ბედის სიმუხთლის» სიმკაცრე მართლაც რომ უსაზღვო ყოფილა!..

აბა ვინ იფიქრებდა, რომ ჯერ კიდევ სიცოცხლით სავსე, მუდამ აქტიური, მზრუნავი და ჭირისუფალი ჩვენი, დაკარგული თავისუფლების აღდგენის წმინდა საქმისთვის, ასე მოულოდნელად გაგვშორდებოდა!

ალბათ ამით აიხსნება მწარე ცრემლის მორევი და განსაკუთრებული მწუხარება, რომლითაც მიაცილეს გრიშა, ლევილის სასაფლაოზე, მეგობრებმა და მრავალრიცხოვანმა, ფართე საზოგადოებამ.

გრიშა, სიკვდილის ოთხი დღით წინ უკანასკნელად ვნახეთ პარტიული ორგანიზაციის კრებაზე.

მისი უკანასკნელი, ახლად გამოსული წიგნი,—«ნამდვილი და ყალბი ისტორია»—მოიტანა, რომლის გამოსვლას მოუთმენლათ ველოდით.

მის სახეზე დიდი კმაყოფილება იყო აღბეჭდილი. მან უკვე იცოდა ზოგიერთი ახლო მეგობრების აზრი, რომელთაც უკვე, წაკითხვა მოუსწრიათ და გაუზიარებიათ მისთვის თავიანთი აღფრთოვანება.

სხვანაირად არც შეიძლებოდა.

ეს წიგნი თავის შინაარსით: სიყალბის გაბათილება და სიმართლის აღდგენა, და კეთილშობილური ტონით დაწერილი დიდათ სასარგებლოა ქართული საქმისთვის და ამავე დროს, მკაცრი გაკვეთილია ზოგიერთ, ურიგო მოკამათეთათვის.

ჩემს მიზანს არ შეადგენს მისი დაფასება.

არც აკაკის, კოწიას და გრიშას მოღვაწეობის დაფასებას შევუდგები. ამას, ამჟამად, სხვები უკეთ იზამენ, ხოლო განთავისუფლებული სამშობლო შესაფერ ადგილს მიუჩენს მათ, ჭეშმარიტ პატრიოტებს, თავის ისტორიის ფურცლებზე.

ჩემი სურვილია გავუზიაროთ მკითხველს ჩემი, მორიგი ჯა-

30271

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რისკაცის და პარტიის წევრის მოვალეობის შეგნება მათი დაკარგვით შექმნილ კრიტიკულ მომენტში.

რა იყო მათი უკანასკნელი საზრუნავი, მათი ანდერძი და რას გვავალებს ეს ჩვენ, ყველას?..

გრიშამ, ზემოხსენებულ კრებაზე მოაგონა ამხანაგებს კარლო ჩხეიძის უკანასკნელი ორი სიტყვა, ფანქრით დაწერილი: «საქმეს მოუარეთ»-ო, და მოგვიწოდა პარტიული გაერთიანება ამისთვის მოგვემარჯვებინა.

ცნობილია რა დიდი შრომა გასწიეს სამივემ პარტიული გაერთიანების მისაღწევათ.

მათ კარგათ ესმოდათ, რომ საქმის მოვლა მხოლოდ მთლიანობით გახდებოდა შესაძლებელი, ვინაიდან პოლიტიკური ემიგრაცია დიდ კრიზისს განიცდის. დრო თავისას შვრება.

უფროსი თაობის დიდი ნაწილი, ნოე ჟორდანიას მეთაურობით, ერის სამსახურში გამოცდილი, მისთვის ბრძოლაში გამობრძმედილი, მისი ნდობით და მანდატით აღჭურვილი მოგვტაცა ულმობელმა სიკვდილმა.

«ახალგაზრდები» კი სამოც წელს მიუახლოვდენ...

მტერსაც კარგათ ესმის ეს ჩვენი სიძნელენი. ახალი მეთოდებით ცდილობს მოგვაჩვენოს, რომ რკინის ფარდის იქეთ რაღაცა შეიცვალა. ცხადია მათი მიზანი,—მუდმივი ცდა—პოლიტიკური ემიგრაციის ლიკვიდაცია.

ჩვენი ხელმძღვანელების ანდერძი ბრძოლის გაგრძელებაა. თავდადებული, მუყაითი და ერთგული შრომით იმ უღლის ზიდვა, რომელიც მათ, თავგამოდებით, სახელოვანად ატარეს თავიანთ სიცოცხლის გზაზე.

ჩვენგან შორს უნდა იყოს დაღლა-დაქანცულობა, აპატია, ხელის ჩაქნევა. ამის უფლება ჩვენ არ გვაქვს. ეს იქნებოდა მათი ხსოვნის და ანდერძის დავიწყება.

ამისთვის საჭიროა მიღწეულ გაერთიანებას მოჰყვეს შედუღება, გამთლიანება. აქ უნდა თავი მოიყაროს ყველა პარტიულმა სასიცოცხლო ძალებმა და ერთად, ხელი-ხელ ჩაკიდებული,—შეიარაღებულებმა ჩვენი დიადი წარსული, პარტიული ბრძოლის ტრადიციებით—მოუაროთ საქმეს.

დრო მიდის მაგრამ სურვილი განთავისუფლების ქართველ ერში რჩება ურყევი: თითოეულ ქართველის საოცნებო საგანია თავისუფალ სამშობლოს ხილვა, ამ დიად მიზნის მისაღწევათ თითოეული ჩვენთაგანის ვალია მსხვერპლის გაღება.

გერ. ბოლქვაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარჩინებულთა ყრილობა მოსკოვში.

კომპარტიის ყრილობა მოსკოვში—განსაკუთრებული მნიშვნელობისაა. სტალინის სიკვდილის შემდეგ ხრუშჩოვს არა-ერთი სტრატეგიული უკან დახევა დასჭირდა, უმთავრესად საიქიოსკენ გადაბარგებულ ბატონის გაკიცხვა, რომ საბოლოოთ მის სავარძელში დამაგრებულიყო.

ყრილობას წინ უსწრებდა ხრუშჩოვის მომავალ მოხსენების თეზისებთა განხილვა,—შვიდი წლის ფარგლებში კომუნისტურ საზოგადოების აწყობა და მცხოვრებთა ნივთიერ მდგომარეობის უზრუნველყოფა. ხრუშჩოვის ერთგულთა მიერ უდიდესი ცდები იქნა გაწეული—რათა თითეული მუხლი, თითეული ე. წ. საკანტროლო ციფრი წინასწარ მოწონებული და დამტკიცებული ყოფილიყო. გაწეული შრომაც გამარჯვებით დამთავრდა, ყრილობაზე წარმოდგენილმა ბიუროკრატებმა ხრუშჩოვის გენიალური გეგმა მოიწონეს და მას დიქტატორის გვირგვინიც თავზე დაადგეს.

აუცილებელია გავიხსენოთ, თუ რა ნაყოფი გამოიღო ხრუშჩოვის რეფორმებმა. ჩვენთვის საკმარისია დავიმოწმოთ თვით კომპარტიის პრესა, რომელიც ჯამს უკეთებს ახლად დაარსებულ რაიონულ ეკონომიურ საბჭოების მუშაობას და მწარეთ აღნიშნავს, რომ ხსენებული საბჭოები ვერ ასრულებენ ურთიერთ დადებულ ხელშეკრულებას, მათ შორის გაჩაღებულია ქიშპობა, შუღლი (იხ. «პრავდა» გ. წ. დეკ. ნომერი). რასაც «პრავდა» «მეჟდუსობენაია ვაინა»-ს უწოდებს. მრავალ მაგალითს შორის, მხოლოდ ერთს მოვიყვანთ. გროზნოს საანავთო მრეწველობა ჩივის, რომ არც აზერბაიჯანის, არც საქართველოს საბჭო არ ასრულებს აღებულ ვალდებულებას და არ აწვდის მას დაკვეთილ მილებს, ლითონს, სატყეო მასალას, რის გამო მუშაობა ფერხდება და მას არ შეუძლია მიაწოდოს სხვა რაიონებს ნავთის პროდუქციები. გროზნოს ეკონომიური საბჭო ბედავს კიდეც და გამოაქვს რეზოლიუცია, სადაც მოითხოვს გაუქმდეს ხრუშჩოვის რეფორმა, რომელმაც გაამეფა სრული ქაოსი ეკონომიურ მართველობაში.

სოფლადაც მანქანების სადგურების გაუქმებით ხრუშჩოვს სურდა გლეხობის გული მოეგო და უმთავრესად დაენახვებია თავისი ლიბერალური დამოკიდებულება გლეხობის მიმართ. მაგრამ ხელისუფლების შესუსტების შიშით სოფელზე,—მან გააძლიერა პარ. აპარატების კონტროლი და კოლმეურნეობას შეუქმნა აუტანელი პირობები, რათა ისინი თანდათანობით შერეკოს დიდ ერთეულებში—«სოვხოზებში», რითაც კონტროლი სახელმწიფოსი სოფლის მშრომელ მასებზე იქნება უზრუნველყოფილი.

სოფლებში ჩატარებულ იქნა განსაკუთრებული პროპაგანდა და ყრილობაზედაც უმთავრესად წარმოდგენილი იყო სოფლის პარტ-ბობოლები, რომლებსაც გაჭივრებული გლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხობა აძლევდა ამა თუ იმ დავალებას. მრავალ მაგალითებიდან მოვიყვან ერთს. საქართველოდან იყალთოელი გლეხები ავალებენ დელეგატს, დასვან მოსკოვში საკითხი მავთულის შეძენის შესახებ, რადგან მისი უქონლობის გამო ყურძნის მტევნები მიწაზე ყრია და ლპება. როცა დელეგატი ბრუნდება, ის უკეთებს მოხსენებას სოფელს, მოუყვება ნახულს და გაგონილს. მოხუცი გლეხი უტევს: «ზღაპრებს თავი დაანებე, რუსეთში სხვა პირობებია ვიდრე ჩვენთან»... ხოლო მეორე გლეხი ახსენებს მას მავთულების საკითხს (იხ. ქარ. «კომუნ.» № 40 თებ.).

ასე და ამგვარად, როცა სოფლად ძაფი, ნემსი, მავთული, ასანთი არ მოიპოება,—ქვეყნის დოვლათი მიდის «სპუტნიკებზე» უცხოეთში გულუბრყვილოთა მოსამხრობად—საგარეო ფრონტზე გავლენის მოსაპოებლად.

«კომუნისტის» ფურცლებზე მოწინავეებს აცხობენ: «მეტი პური, მეტი რძე, მეტი ქართოფილი»... რადგან ყოვლის შემძლე წითელ ბიუროკრატიას სჭირდება გამოკვება. მაშინ როცა წყეული დასავლეთის პრესა ამაებზე არას ლაპარაკობს და არც ტრაბახობს,—დუქნები კი გამოჭედილია სურსათ-სანოვაგით. აი ამ ვითარებაში ხრუშჩოვს უნდა,—შვიდ წელში განახორციელოს, ის რაც ვერ განხორციელებულა 40 წლის მანძილზე და არსებულ რეჟიმში ვერასოდეს იქნება მიღწეული... საკანტროლო ციფრებით ხრუშჩოვის პროპაგანდისტებმა გამოაყრუეს მცხოვრებნი. ავიღოთ ერთი მაგალითი, მუშის ხელფასი თურმე აიწევს 270 მანეთიდან 550 მანეთამდე. ხოლო წყვილი ფეხსაცმელი ღირს 300 მანეთი. თუნდაც 7 წლის შემდეგ საბჭოელ მუშამ შესძლოს ორი წყვილის ყიდვა, ფრანგ მუშას დღესაც შეუძლია თავის თვიური ჯამაგირით 10 წყვილის შეძენა. ასეა ყოველ დარგში და ხრუშჩოვის ტრაბახი დასავლეთის «დაწევა-გასწრებაზე» მხოლოდ ჩვეულებრივი დემაგოგიაა დაბეჩავებულ ხალხის თვალის ასახვევად...

ყრილობაზე გამოაშკარავდა საჭიროება,—ჩაეწიხლათ, გაეკიცხათ ე. წ. ანტი-პარტიული ჯგუფი, რომლის ფიზიკურ მოსპობას ხრუშჩოვი ვერ ბედავს, რადგან სტალინის სიკვდილის შემდეგ კრემლის ბატონებში დაწყებული დავა დოქტრინალურ თუ სამეურნეო პოლიტიკისა, თუ მძიმე და მსუბუქ მრეწველობის გარშემო დღესაც ჩუმად გრძელდება და ამ ნიადაგზე ერთი-მეორეს წინააღმდეგ კბილების ლესვა არ შეწყვეტილა. შვიდ წლიან გეგმისთვის მოწვეული ყრილობა უდიდესი სათვალმაქცო გათამაშება იყო. წარჩინებულთ სჭირდებათ ხრუშჩოვი რათა პრივილეგიები არ დაკარგონ—რეჟიმის წაქცევით.

ხრუშჩოვს სჭირდება პირველნი, მათი საშვალებით გამარჯვებაც მოიპოვა. იბატონებენ სანამ ორთავეს ხალხის რისხვა უფსკრულში არ გადაისვრის...

აპ. სარიშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზოგიერთი ასპექტი
საერთაშორისო მდგომარეობისა.

I.

მეტად რთული მდგომარეობაა შექმნილი, ახალი და უმაგალითო. რევოლიუციები იყო წინედაც. მე 19 საუკუნე სავსეა ამის მაგალითებით. მაგრამ ყველა ეს რევოლიუციები მიდიოდენ ერთი გზით: ბურჟუაზიული საზოგადოებრივი და ეკონომიური ურთიერთობის დამყარებისაკენ, რაც შეიცავდა პოლიტიკურ და სამოქალაქო თავისუფლებებს, კერძო საკუთრების უფლებას და კერძო ინიციატივის ბატონობას.

მე-20 საუკუნის რევოლიუციებმა, რომელნიც უმთავრესად დიქტატორული გადატრიალებით თავდებიან, შეცვალეს ეს ძირითადი მიმართულება. რევოლიუციები იწყება თავისუფლების ლოზუნგებით და ბოლოს მოაქვს თითქმის ყველგან დიქტატორული რეჟიმის ბატონობა. ასე იყო გერმანიაში, ესპანეთში, იტალიაში, რუსეთში. ყველგან საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების სადავეები გადავიდა სახელმწიფოს ხელში, რომელსაც დიქტატორი განაგებს. ყველგან შემოვიდა თავისუფლებათა აღკვეთა, ერთპარტიული სისტემა და ტეროორისტული მეთოდი მმართველობის. ეს არის ყველა ამ რევოლიუციებისთვის საერთო. შემდეგ იწყება განსხვავება. ერთნი—მემარჯვენე დიქტატორები—სტოვებენ კერძო საკუთრებას, მაგრამ განაგებენ მესაკუთრეთა ბედს და ამით მათი საკუთრების ბედსაც. მეორენი—მემარცხენეობის ფირმის ქვეშ, ძირფესვიანად სპობენ ძველ ეკონომიურ საფუძვლებს, განსაკუთრებით კერძო საკუთრებას. ორივე ამ სახის დიქტატურას აქვს თავის იდეოლოგია: ე. წ. მემარჯვენეებს რასისტული ან ფაშისტური, ე. წ. მემარცხენეებს კომუნისტური.

პირველის წარმომადგენელნი—ჰიტლერი და მუსოლინი—ომმა ჩაყლაპა მათი რეჟიმიანად. ეს ნორმალურია დიქტატორული რეჟიმისთვის. ომში დამარცხება—ასამარებს დიქტატორებსაც და მათ რეჟიმსაც. ესპანეთს არ ჰქონია ომი—იგი ჯერ კიდევ ბოგინობს. მაგრამ მას დიდი წონა არა აქვს. მთავარ დიქტატორულ რეჟიმების მოსპობით—შეიძლება ითქვას, დასავლეთმა თითქმის სრულად ამოწურა თავის წრეში დიქტატორული რეჟიმი და გახდა ერთფეროვანი, დემოკრატიული.

რუსეთის კომუნისტური დიქტატურა გადაურჩა ომში დამარცხებას და რეჟიმიც შეინარჩუნა, გააფართოვა კიდეც თავის ბატონობის სფერო და ახალ-ახალ ქვეყნებს მოედო. და იგი სფინქსივით დგას თანამედროვე კაცობრიობის წინაშე. მან მოსპო კერძო საკუთრება ყოველი სახისა და ფორმის განურჩევლად. ალაგმა კერძო ინიციატივა, რაც კერძო კაპი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტალს ანიჭებდა საზოგადოებრივ ცხოვრების წამმართველ როლს. მაგრამ მას თან გადააყოლა ერის და ადამიანის უფლებებიც, რაც უდიდესი მონაპოვარია დღევანდელი ცივილიზაციის. თავისუფლების ნაცვლად შემოიღო მონობა, შრომის განთავისუფლების მაგიერ შრომის უსაშინელესი ექსპლოატაცია.

მე-18 და მე-19 საუკუნეების რევოლიუციების ტრადიციას აგრძელებს დასავლეთი, ძლიერი თავის ცივილიზაციით, და უმაგალითო ეკონომიური განვითარებით. ახალი ტიპის რევოლიუციებს, ან უფრო სწორათ გადატრიალებებს აწარმოებს აღმოსავლეთი, ჩამორჩენილი ეკონომიკით და კულტურით, რომელიც ახალი გზით ფიქრობს დაეწიოს და გაუსწროს დასავლეთს.

ეს ორი ბანაკი, ორი სამყარო დგას ერთმანეთის პირისპირ. ორივეში ხდება დუღილი, განუწყვეტელი, ძლიერი ქანაობა, წონასწორობის დარღვევა, და მისი აღდგენის ცდები.

დასავლეთმა უნდა იცვალოს ფერი, განახლდეს, შექმნას ახალი სოციალური წყობა, მისი დიდი ცივილიზაციის მონაპოვარზე აგებული—ესაა მისი ისტორიული ამოცანა.

აღმოსავლეთის გადატრიალებანი თითქოს იმავე ამოცანას ეჭიდებიან, ამავე მიზნის მისაღწევათ მიიქაჩებიან სხვა მხრიდან და სხვა მეთოდებით. მათ გვერდი აუარეს ცივილიზაციის და მაღალი კულტურის უდაო ღირებულებებს, ამ ღირებულებათა გათელვაზე აგებენ ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობას!

აი აქედან წარმოსდგება რთული და თან საშინელი ტრაღედია დღევანდელი კაცობრიობის. სად არის გამოსავალი? საით მიდის ისტორიულ განვითარების გზები?—აი ეს კითხვები დგას ჩვენს წინაშე და მოითხოვს გარკვევას.

ჯერ გავეცნოთ ამ ორ მსოფლიოს, რომ უფრო ადვილათ მივიდეთ ობიექტურ დასკვნამდე.

II

ბურჟუაზიული წყობილება დღეს ის აღარ არის, რაც იყო გასულ საუკუნეში. იგი იმდენად შეიცვალა ევოლიუციური განვითარების გზით, რომ პირვანდელი თავისებურებიდან დაკარგა ან შეასუსტა ის, რაც იყო მისთვის უმთავრესი და დამახასიათებელი, დაკარგა კერძო საკუთრების აბსოლუტური ხასიათი, ნაპოლეონის კოდექსით აღიარებული, და მთელ მსოფლიოს მიერ ცნობილი კერძო მფლობელი ან მწარმოებელი დარჩა. მას ახლაც შეუძლია ქარხანა გაყიდოს, გასცეს ან დახუროს. მაგრამ მის დახურვას ადვილათ შეიძლება მოყვეს მისი სახელმწიფოს ხელში გადასვლა საექსპლოატაციოთ ან სრულ საკუთრებათ. პატრონს ხშირად არც კი შეუძლია თავის ნება სურვილის მიხედვით დაიქირაოს ან გაუშვას მუშა. ამ უკანასკნელს მფარველობენ მძლავრი პროფე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიონალური კავშირები, და მთელი რიგი მუშათა კანონმდებლობისა, რომელიც ეხება ხელფასს, სოციალურ დაზღვევას და სხვ. ყველა ეს ადებს წარმოების პატრონს ახალ მოვალეობებს, რომლებიც წმინდა საზოგადოებრივ ხასიათს ატარებენ და რომლების ასრულებას იგივე შეკავშირებული მუშათა ორგანიზაციები და სახელმწიფო ინსპექცია ადევნებენ თვალყურს.

მექარხნე აღარ არის სრული პატრონი თავის საკუთრების. თავისუფალი თამაში ეგოისტურ ინტერესებისა, რომელსაც ასე აქებდა ადამ სმიტი, სამუდამოთ ბარდება ისტორიას. წარმოება გახდა საზოგადოებრივი ფუნქცია, და ფორმა მფლობელობისა თანდათან იღებს ასეთსავე საზოგადოებრივ ხასიათს. პატრონი სანახევროდ მაინც, თუ მთლად არა, დღეს უფრო მმართველია საზოგადოებრივ წარმოების, ვინემ მისი მესაკუთრე, და იგი პასუხს აგებს თავის მართველობისათვის კანონის წინაშე. ბურჟუაზიული, ეგოისტურ ძალთა თამაშზე დამყარებული პოლიტიკური ეკონომია—გადადის საზოგადოებრივ, სოციალისტურ პოლიტიკურ ეკონომიაში. და ამავე დროს დასავლეთი ინახავს ყველა კულტურულ მონაპოვარს: თავისუფლებას, ადამიანის პიროვნების პატივისცემას, მოქალაქეთა თანასწორ უფლებიანობას! ასეთია მოკლეთ ზოგადი სურათი დასავლეთის ქვეყნებისა. მარქსი გასულ საუკუნის შუა წლებში, 10 საათის სამუშაო დღის დაკანონებას შეხვდა აღტაცებული შეძახილით: ეს არის მუშათა პოლიტიკური ეკონომიის პრინციპის გამარჯვება ბურჟუაზიულ პოლიტიკურ ეკონომიაზეო. რას იტყოდა ის დღევანდელი მუშათა კანონმდებლობა რომ ეხილა? ეჭვი არ უნდა, მუშათა პოლიტიკურ-ეკონომიას უდიდეს გამარჯვებებს მოულოცავდა.

დიახ, დასავლეთი მიდის ევოლიუციით, თავისუფალ ძალთა ჭიდილით, სამართლიანობასა, თავისუფლებასა და თანასწორობაზე აგებულ საზოგადოებისაკენ.

III

სულ სხვა მდგომარეობაა აღმოსავლეთში და ჩამორჩენილ ქვეყნებში.

საბჭოთა რუსეთმა გახსნა ახალი ხანა, არა ევროპიული, არამედ აზიური. მან, ერთი შეხედვით, გადააბიჯა, გადაუსწრო დასავლეთის ტენდენციას და კერძო საკუთრება სრულიად გააუქმა. გამოცხადდა სოციალური, საზოგაოოებრივი საკუთრება, აბსოლუტური ხასიათის, რომელიც არ ითმენს არც კაპიტალისტურ, არც შრომითი ფორმის კერძო მეურნეობას. ამ აბსოლუტური საზოგადოებრივი საკუთრების პატრონობა ჩაბარდა სახელმწიფოს. ამაშია მისი ძალა. მაგრამ აქედან იწყება ახალი წყობილების შინაგანი წინააღმდეგობები და გასაჭირიც.

წინეთ სახელმწიფო უმთავრესად პოლიტიკურ ფუნქცი-

ებს ასრულებდა, იცავდა წესრიგს და მოქმედ კანონებს. დასავლეთში მას დაემატა მთელი რიგი სოციალური და ეკონომიური ფუნქციები. იგი ზოგან მწარმოებელიც არის, მაგრამ კერძო ინიციატივაც ძალაშია და მის გვერდით მოქმედებს.

კომუნისტურ ქვეყნებში კი სახელმწიფო გახდა სრული მონოპოლისტი მთელი სოციალური, ეკონომიური და ინტელექტუალური ცხოვრების. მაგრამ თავის პოლიციური ფუნქციები არ შეუმცირებია, არ უარუყვია, პირიქით იგი ერთი ორათ და კიდევ მეტათ გააძლიერა. იგი იცავს ახლა თავის მონოპოლიას, იცავს მთელი საზოგადოებისაგან, ყველა იმათგან, ვინც ქმნის და თავის ხელით შექმნილის თავის სასარგებლოდ მოხმარებას ფიქრობს. სახელმწიფო და მაშასადამე მისი მმართველი წრე, გახდა ფაქტიური მესაკუთრე საზოგადოებრივი ქონების. მმართველ წრეთ, ერთ პარტიული სისტემის წყალობით, იქცა კომუნისტური პარტია. განსაზოგადოებრივება, ანუ ნაციონალიზაცია გადაიქცა გასახელმწიფოებრივებად, რაც ერთი და იგივე არ არის. პოლიციური აპარატი, დაეპატრონა ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრებას. ამიტომ ამ ახალ სოციალურ წყობილებას უნდა ეწოდოს სახელმწიფო კაპიტალიზმი და არა სოციალისტური, ხოლო მის ზედნაშენს, პოლიციურ ტოტალიტალური წყობილება და არა სოციალისტური დემოკრატია. ეს ახალი წყობილება ხასიათდება ახალი, ბიუროკრატიული კლასის წარმოშობით და დანარჩენი საზოგადოების მაზე დამორჩილებით. მაგრამ მან შეინარჩუნა, დამახინჯებული და გადაგვარებული სახით, სოციალისტური იდეოლოგია, რომელსაც იგი იყენებს დასავლეთთან ბრძოლის საწარმოებლად და ხალხთა მასების თვალის ასახვევად. მთავარი მისი ძალა და დასაყრდენი კი არის მაინც სახელმწიფოს პოლიციური აპარატი, თავის ტეროორისტული მეთოდით და ძალმომრეობით. მას აქვს ერთი დიდი უპირატესობა დასავლეთის თავისუფალ ქვეყნებთან შედარებით. მის ხელშია წარმოების ორივე ძირითადი ელემენტი: კაპიტალი და შრომა. მაშასადამე მისი შესაძლებლობანი წარმოების განვითარებისა, ერთი შეხედვით მაინც, თითქმის უსაზღვროა. ეს შესაძლებლობა იზღუდება მხოლოდ სახელმწიფოს მმართველთა უნარით და ხალხის ფიზიკური ძალღონით.

კომუნისტური სახელმწიფო—მონოპოლისტია და იმავე დროს ძალმომრეობის ორგანო, ამიტომ მას არ უყვარს არავითარი თავისუფლება, არც მშრომელების, არც კაპიტალის. იგი თვითნებურად განაგებს მთელ ეკონომიკას და მიყავს იგი იქეთ, საითაც სურს. დასავლეთის კაპიტალისტური მონოპოლიები და ტრესტები მასთან შედარებით მონაგონი არ არის, უსუსურ ბალღებათ მოგეჩვენებათ. მას შეუძლია გაუშვას ტედამიწის თანამგზავრები და იმავე დროს არ მისცეს ხალხს პური, ან უბრალო ქოთანი, თუ ქვაბი საჭმლის მოსახარშად,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც არ შეუძლია არავითარ ტრესტს. მას შეუძლია განუსაზღვრელად და განუკითხავად ისარგებლოს მუშახელით, ამუშაოს სადაც უნდა და რამდენიც უნდა. კონკურენტი არავინაა, არც პასუხის მომთხოვნი.

IV

აი ეს ორი სხვადასხვა სისტემა, სხვადასხვა პრინციპზე და შესაძლებლობაზე აგებული, აი ეს ორი წყობილება სხვადასხვა გვარი კლასებით და წინააღმდეგობებით ეჯახება ერთმანეთს. დასავლეთს აქვს ძველი გამოცდილება, საუკუნებრივი ტრადიციები, მაღალი ცივილიზაცია, მაგრამ აწევს ძველი ცოდვებიც: კოლონიალიზმი, დაჩაგვრა და ძარცვა ნაკლებ განვითარებული ხალხებისა კერძო მწარმოებლების სასარგებლოდ.

კომუნისტური წყობილება მოდის მაღალი ფრაზებით, სიკეთისა და ბედნიერების ლოზუნგებით. მაგრამ ვერ იძლევა მათ განხორციელებას. მას აქვს, თუ გნებავთ, ერთად ერთი საზოგადოებრივი ფუნქცია,—ეს არის წარმოების შექმნა იქ, სადაც არაფერი იყო, მრეწველობის მთელი დარგების წარმოშობა იქ, სადაც ცალიერი ადგილი იყო. ეს ხდება შრომის უსაზღვრო ექსპლოატაციით: ადამიანის ძვლებზე შენდება ახალი ინდუსტრიული ცენტრები, შენდება უამრავი მსხვერპლით, მაგრამ მაინც შენდება. ამიტომ ეს კომუნიზმი უფრო ადვილათ იკაფავს გზას ჩამორჩენილ ქვეყნებისკენ, რომელთაც სწრაფი ეკონომიური განვითარების პერსპექტივა იზიდავს, ვინემ ცივილიზაციის კერისაკენ, სადაც ეს ეტაპი პირველ ყოფილი კაპიტალის დაგროვებისა უკვე გავლილია. იგი ძლიერდება ჩინეთში, ვიეტნამში, მაგრამ უძლურია ევროპაში და ამერიკაში.

ვისკენ არის ისტორიის მსვლელობა? როგორია მომავლის პერსპექტივები?

ამაზე შემდეგ.

რ. არსენიძე.

გ ა კ ვ რ ი ო.

ეგნატე ნინოშვილს (ინგოროყვა), რომ შეეძლოს გაკვირვებით გადმოხედავდა საოკუპაციო ხელისუფლების მორჩილთ, რომელთაც გადაუწყვეტიათ მისი დაბადების 100 წლის თავი იდღესასწაულონ. თუ იგი ღირსია, ქართველი ხალხის ხსოვნა და პატივისცემა მას არ მოაკლდეს, თუ სიღატაკეში და სივიწროვეში აღზრდილმა მიაგნო ხალხის ტკივილები და უსამართლოების წინააღმდეგ ამხედრებულმა ჩამორეკა ზარი გამოფხიზლების, ქართველი ხალხი მას ვერ დაივიწყებს და ღირსეულად დააფასებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ჩვენი გაკვირვება არ შეგვიძლია არ გამოვთქვათ —ბოლშევიკებისგან—მისი დაპატრონების გამო.

განა საჭიროა გავახსენოთ მკითხველს რომ ეგ. ინგოროყვა იყო ფუძე-მდებელთაგანი იმ მცირე ჯგუფისა, რომლის არსებობა გამოაშკარავდა ეგნატეს დასაფლავებისას, სილიბისტრო ჯიბლაძის პირით, საიდანაც შემდეგ აღმოცენდა, გაიზარდა, გაძლიერდა, საქართველოს სოც.-დემ. პარტია. ეგნატე ხომ მხატვრულად ამსახველია იმ იდეების, რომლებსაც თეორიული დასაბუთება მისცა ნოე ჟორდანიამ და საფუძვლად დაუდო პარტიის არსებობას.

მეცნიერებამ, ორგანიზაციამ, ხელოვნებამ ერთი-მეორე შეავსო, ერთი-მეორე გაამდიდრა და სული ჩაბერა უდიდეს სახალხო მოძრაობას.

შრომისა და ადამიანის თავისუფლება არის უმთავრესი მოტივი ეგნატეს შემოქმედებისა, მისი გრძნობათა ღელვისა, მისი ბუნებრივი ნიჭი იხრება ჩაგრულთა, ღატაკთა და შევიწროებულთა ბედის აღსაწერად, და ფაქიზი შეხებით ნათელს ყოფს მაშინდელი ცხოვრების რეალობას ეთიკურ და ესთეტიურ გარემოცვაში. მისი კალმით ალაპარაკდა მაშინდელი სოციალურ ცხოვრების კრიტიკოსი, მზნებარე ტემპერამენტით ცხოვრების სინამდვილის გადმომცემი...

ახალი—დამოუკიდებელი საქართველოს აღდგენა და დამაგრება განა ხალხური მოძრაობის ძირებიდან არ წარმოიშვა და გახდა შესაძლებელი?

ერის გულში ჩამარხული თესლი თავისუფლებისა—ვინ გააპოხიერა თუ არა ეგნატეს მცირე ჯგუფიდან მომდინარე ბრძოლის ტალღებმა, რომლებიც მოედო საქართველოს ყველა კუთხეს, შეკრა ერის სხეული და შესძლო თავისუფლების დროშა აეფრიალებია.

აი ეს დროშა დღეს ტყვეობაში ჩაკეტილია, ეგნატეს და მის თანამებრძოლთა ეროვნულ-სოციალური იდეები ჯვარცმულია, ადამიანის პიროვნება დამონებულია,—ერის უფლება აღკვეთილია და ამ სურათის მნახველი ეგნატე კვლავ გამოიყვანდა თავის აჯანყებულ სიმონას, ამხელდა წითელ მკლავაძეებს, დაბეჩავებულ უიშვილებს, დღეს ერის სხეულზე გაბატონებულთ, წარჩინებულთ მოსკოვისგან მირონცხებულ ბობოლებს...

როგორ დღესასწაულობენ ბოლშევიკები ეგ. ინგოროყვას, როცა მოხუც სილვას ცხედარიც კი მოიპარეს, ოჯახს დატირების უფლებაც არ მისცეს, ხოლო მისი და მის თანამგზავრთა—იდეა ერისა და ხალხის თავისუფლებისა, წაბილწეს და ჯვარს აცვეს.

საკვირველი არაფერია, მორალი და ბოლშევიკები ერთი მეორისგან მწყრალათ არიან!

სპ. ვარდოშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



კოლა ბარნოვი.

კიდევ ერთი წევრი გამოაკლდა თბილისის ძველ მუშებს. გარდაიცვალა კოლა ბარნოვი (ბარნაველი).

დაიბადებული 1885 წელს სოფ. ახალციხის (გორის მაზრა) მშრომელ ოჯახში. იგი ნორჩ ახალგაზრდობაში ებმება თბილისის მუშათა მოძრაობაში და ცხრაასიანი წლებიდან მოწამეა და მონაწილე თბილისელი მუშების ყოველგვარი მოძრაობისა და მღელვარების. ის აწარმოებს ვერის რაიონში ორგანიზაციულ მუშაობას და «შიკრიკი»-ს ფსევდონიმით დიდი ტაქტით ხელმძღვანელობს პარტიის კვალიფიური პროპაგანდისტების დაახლოებას მუშების წრეებთან. მან აქ გაიცნო სილ. ჯიბლაძე, ვასო ცაბაძე, კარ. ჩხეიძე, ნოე ყორდანია, ნოე რამიშვილი, ივანე გომართელი და ბევრი სხვა, რომელთა უტყუარ მესაიდუმლედ ის რჩება მთელი მოძრაობის მანძილზე.

თებერვლის რევოლიუციის შემდეგ კოლა გორის სამაზრო რევოლიუციონური ხელმძღვანელობის რწმუნებულია და მუშაობს განსაკუთრებით ახალქალაქის რაიონში. აქ მრავალი დავალება შეასრულა მან, მაგრამ ყველა ამათგან გამოსარჩევია ახალქალაქში კოოპერატივის საღ ნიადაგზე დაფუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძნება, რომლის სულის ჩამდგმელი ის იყო ბოლშევიკების შემოსვლამდის.

რევოლიუციის შემდეგ პარტიაში იდეურათ ის მიკედლებული იყო ივანე გომართელ-პავლე საყვარელიძის «ალიონთან».

სამშობლოს დაპყრობის შემდეგ კოლა იხიზნება ოსმალეთში, სადაც მალე მისი მეუღლეც შემოუერთდება ორი შვილით. ჯერ ოსმალეთში, შემდეგ პოლონეთში და ბოლოს საფრანგეთში ის ყოველდღიური შრომითა და ზრუნვით პატიოსნათ ინახავს თავის ოჯახს, განათლებას მიაღებინებს თავის შვილებს და ათასი ფათერაკისა და სიძნელეების გადალახვით, თავის მხნე და ენერგიულ მეუღლესთან ერთად ქმნის თბილ ქართულ კერას, სადაც კარის შეღება ყველა ქართველს უხარია...

მან თავის ხელობაშიც გამოიჩინა წარჩინება: მიიღო შესანიშნავი დიპლომები პარიზისა, რომის და ლონდონის გამოფენაზე.

მიუხედავათ ხანში შესვლისა მას ჩაქუჩი ხელიდან არ გაუგდია, თავისი ორგანიზაციის არც ერთი კრება არ გამოუტოვებია, ქვეყნის შესახები არც ერთი საკითხი გაუთვალისწინებელი არ დარჩენია. 73 წლის მოხუცი 20 წლის ახალგაზრდასავით დაინტერესებული იყო ყველაფრით. მისი საღი გონება და აზრიანი შეკითხვები აჩქარებულ მოაზროვნეს შეაჩერებდა, ჩააფიქრებდა... მისი აზრთაჭვრეტა ქართულ მუშური იყო, ნამდვილი თბილისური...

გარშემორტყმული მეუღლით, შვილებით, შვილიშვილებით და მეგობრებით ის გარდაიცვალა თავის ბინაზე პარიზში 2 აგვისტოს 1958 წ. დაკრძალულ იქნა ლევილის ქართულ სასაფლაოზე, სადაც გრძნობიერი გამოსათხოვარი სიტყვები წარმოსთქვეს კ. ქავთარაძემ და რ. ყიფიანმა.

მეგობარი.

ვალოდია დოლიძის ხსოვნას.

გასული წლის დეკემბერში დავკარგეთ ჩვენი ძვირფასი ძმა და მეგობარი, ვალოდია დოლიძე.

ვალოდია იმ იშვიათ ადამიანთა კატეგორიას ეკუთვნოდა, რომელთაც უნარი აქვთ ხალხის სიმპატიის მიზიდვის, ისე, როგორც ანდამატი იზიდავს ფოლადს.

უცხოს და ქართველს, ყველას უყვარდა მასთან ყოფნა, მასთან ურთიერთობის დაჭერა და მასთან მუშაობა.

უცხოელები ისეთივე ხალისით ეძებდენ მის თანამშრომლობას, როგორც ჩვენ.

მისმა სიკვდილმა ფრანგებს ისევე ატკინა გული, როგორც ჩვენ, მის მეგობრებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი, თვით ჩვენი საკუთარი თვალებით დავინახეთ, სასაფლაოზე, უცხოელთა ცრემლები არც ჩვენ ცრემლებზე ნაკლები იყო, არც ნაკლებ მდუღარე.

განსვენებისას ეკსენკურის F. F. I.-ს ერთი დელეგატი, თვალცრემლიანი, გატეხილი ხმით მეუბნებოდა: «nous aussi, nous avions encore bien besoin de lui», და ეს იმიტომ, რომ ვალოდიამ იცოდა სხვისი გაგება და სხვისი თანაგრძნობა, რომ მას უყვარდა სხვისთვის სამსახური და სხვისი პატივისცემა.

ვალოდია უსაზღვროთ გულკეთილი და თავგამეტებული იყო, იგი მუდამ მზათ იყო თვისი უკანასკნელი პერანგი სხვისთვის მიეცა.

სხვისი დახმარება და სხვისი პატივისცემა მისი უდიდესი სიამოვნება იყო.

ვალოდიას სახლი ყველასათვის ფართეთ ღია იყო. მატერიალურათ ხელმოკლე, იგი ყველას გულღიად უმასპინძლდებოდა. ვალოდიასთან მისვლა ყველას უხაროდა.

ვალოდიას მიმზიდველი სახე, მისი თანამგრძნობი ღიმილი, მისი სიმპატიით ავსებული თვალები, მისი თბილი, ენაწყლიანი ბაასი, მისი ტკბილი, მომხიბლავი ხმა ნამდვილ მა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლამოდ ედებოდა იმათ გულს, ვისაც რაღაც აწუხებდა და აღონებდა.

ვალოდიასთან მოდიოდენ აგრეთვე ისინიც, ვისაც სიხარული გულში არ ეტეოდა და თავის კმაყოფილება-სიამოვნების სხვისთვის გაზიარებას საჭიროებდა, და ვის შეეძლო ვალოდიაზე უკეთესათ სხვისი სიხარულის გაზიარება და სხვისი ბედნიერებით დატკბობა?

იგი თითქოს ამისთვის იყო გაჩენილი, მისი გული სავსე იყო სიყვარულით.

მას უყვარდა ყველანი: თვისი მეგობრები, თანამემამულეები, მეზობლები, ფრანგები.

მას უყვარდა ისინიც კი, ვინც მასზე გამწყრალნი იყვნენ, და რომელნიც მას ცუდის, არამეგობრული თვალით უცქერდენ, რადგან ის იყო სიყვარულის და კეთილ-განწყობილების გამომსახავი, მას გააჩნდა ბავშური სიწმინდე და ბავშურ განცდათა სიღრმე.

აი ეს ვალოდია დღეს აღარ არის.

ჩვენ უზომოთ გვაღონებს ის აზრი, რომ ამიერიდან ველარ ვიხილავთ მის მოღიმარ, მიმზიდველ სახეს და ვერ გავიგონებთ მის სასიამოვნო ხმას.

ვალოდიას წასვლა დიდათ ასუსტებსდა აღარიბებს ჩვენს საზოგადოებას. მისი სიმპატიური პიროვნება ჩვენი საზოგადოების ქვაკუთხედი, ნამდვილი შემკრავი ქვითკირი იყო.

განგების წინაშე ჩვენ უღონონი ვართ, ვალოდიას ხელახლა გაცოცხლება არ შეგვიძლია.

ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ვალოდიას ხსოვნის შენახვა და მისი მოგონების პატივისცემა.

ამისათვის კი საჭიროა, რომ არ დავივიწყოთ მისი ანდერძი: ანდერძი სიყვარულის, ერთი მეორის პატივისცემის და ერთი მეორისადმი კეთილ განწყობილების.

საუკუნო იყოს ხსენება მისი.

სოშოს ქართველთა სათვისტომოს სახელით

ალ. შათირიშვილი.

კვიროსი ჟღენტი.

1958 წლის 22 მარტს ქ. დროს საავადმყოფოში გარდაიცვალა ჩვენი პარტიისა და ქართული საქმის ერთგული კვიროსი ჟღენტი, რომელსაც მნიშვნელოვანი როლი მიუძღვის სოხუმის სახალხო გვარდიის შედგენაში და რომლის საოლქო შტაბის წევრი ის გახდა. კვიროსი პირნათლად ასრულებდა თავის მოვალეობას და კიდევაც პატივისცემა დაიმსახურა ახლო ამხანაგებისგან.

საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ის იყო ჩეხოსლოვაკიაში, ხოლო იქიდან გადმოდის საფრანგეთში და ეწყობა სოშოში «პეჟოს» ქარხანაში. მან აქ მოიპოვა მთელი საზოგადო-

ების უაღრესი ნდობა და კიდეც სათვისტომოს მთელი უძრავ-მოძრავი ქონება იყო მის სახელზე დამტკიცებული.

ღებულობდა აქტიურ მონაწილეობას აგრეთვე პარტიულ ორგანიზაციაში.

დაავადმყოფების შემდეგ ის ჯერ ცხოვრობდა აბონდანში მოხუცთა თავშესაფარში, ხოლო შემდეგ ავადმყოფობის გართულების გამო გადაყვანილ იქნა ქ. დროს საავადმყოფოში, სადაც გარდაიცვალა.

მეგობრების თაოსნობით საავადმყოფოდან ცხედარი გადმოსვენებული იქნა სოფელ ლევილში და დაკრძალული ძმათა სასაფლაოზე. X.

ვალიკო ღლონტი.

ამა წლის 14 მარტს პარიზში, თავის ბინაზე გულის ავადმყოფობით გარდაიცვალა ვალიკო ღლონტი. მისი ამხანაგებისათვის ეს იყო მოულოდნელი. 18 მარტს საქ. სოც. დემოკ. პარიზის ორგანიზაციის მეთაურობით და ჭირისუფლობით დამარხულ იქნა ლევილის ძმათა სასაფლაოზე. მიუხედავათ საქმის დღისა, დამარხვას ხალხი მრავლათ დაესწრო. კუბო შემკობილი იყო გვირგვინებით. მათში ირჩეოდა სამი გვირგვინი მისი ფრანგი მეზობლებისაგან, რომელთაც მიეტოვებინათ თავიანთი საქმეები და პარიზიდან საფლავის კარებამდე მოყოლოდნენ. მშრომელი, გულკეთილი, გაჭირვებაში მყოფის დამხმარე, პატიოსანი ვალიკო ვის არ შეაყვარებდა თავს? მისმა სიკვდილმა მის ნაცნობებს და მეგობრებს ყველას გული დასწყვიტა.

დასაფლავება მოხდა საეკლესიო წესით. მამაო ილიამ გადაუხადა პანაშვიდი და მოკლე გრძნობიერი სიტყვით ფრანგულ ენაზე მიმართა დამსწრეთ, რის შემდეგაც ვალიკო ჩუბინიძემ წარმოსთქვა შემდეგი სიტყვა:

დღეს კიდევ ემატება ლევილის ძმათა სასაფლაოს ჩვენი, ყველასათვის საყვარელი, ვალიკო ღლონტი.

ჩემო ძვირფასო ვალიკო, მე შენ გაგიცანი თბილისში 1926 წლის თებერვალში. ჩვენმა დაუვიწყარმა თედორე ქარცივაძემ და არკადი მანფორიამ დამაკავშირეს შენთან. შენ იყავი მუდმივ კავშირში ჩემსა და ახალგაზდა მარქსისტთა ცეკასთან. ჩემო წყნარო, ჩვენი ქვეყნის საქმის მოყვარულო, მისთვის თავდადებულო. ჩუმათ და შეუმჩნევლათ, რომ მოდიოდი კონსპირატიულ ბინაზე და ერთ წამსაც არ გადააცდენდი, შენთვის გამზადებულ გაზეთების წაღებას. რა უშიშრად და ხალისით ავრცელებდი არალეგალურ ლიტერატურას!.. ჩვენმა თედორემ მითხრა: თუ კოჯორზე სამშობლოს დაცვაში თავი დასდეს და ისახელეს ახალგაზდა იუნკრებმა, აი, დღეს ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტობაა, რომ მათ მაგიერათ განაგრძობს ბრძოლას რუსეთის საოკუპაციო ძალების წინააღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდეგ. ვალიკო ლლონტებისთანა არიან, რომ შეუპოვრათ და თავგანწირვით ჩაებენ საერთო ეროვნულ ბრძოლაშიო.

ჩემო ვალიკო! ჩვენ შორის კავშირი არ შეწყვეტილა 1926 წლის სექტემბრამდე, სანამ მე შენ არ დაგტოვე. შენ განაგრძობდი არალეგალურ მუშაობას; არ ერიდებოდი არავითარ საკუთარ ხიფათს და მსხვერპლს, მიუხედავათ იმისა, რომ შენი ოჯახი დევნილი იყო. 1923 წელს ხომ შენი ერთი უმფროსი ძმა დაგიხვრიტეს ჯალათებმა: მეორე—გადასახლებაში გყავდა შორეულ ციმბირში. შენ მაინც დარჩი შენს ხალხთან განუყოელი მის ეროვნულ მოძრაობაში, სანამ იძულებული არ შეიქენი 1931 წელს დაგეტოვებინა სამშობლო და უცხო ქვეყანაში გახიზნულიყავი. აქ თავს ირჩენდი შენი საკუთარი შრომით და მიუხედავათ მძიმე ფიზიკური მუშაობის, აქაც ჩაები ჩვენს ორგანიზაციულ მუშაობაში. 7 წელიწადი ჩვენ ერთად ვიმუშავეთ პარიზის სოც.-დემ. ორგანიზაციის კომიტეტში. შენ იყავი მოლარეთ, ჩვენს პირობებში ამ მოვალეობის შესრულება ძნელი საქმე იყო: მუდამ ფიქრი და ზრუნვა ორგანიზაციის მუშაობისათვის საჭირო თანხების საშოვნელათ. ჩემო წყნარო, არასოდეს შენგნით ჩივილს, წუხილს და წუწუნს ვერავინ გაიგონებდა. მუდამ საერთო საქმეზე და საქართველოზე ფიქრობდი. რწმენა და იმედი არასოდეს არ დაგიკარგავს, რომ საქართველო განთავისუფლდება და სხვებთან ერთად შენც გელირსებოდა შენ საყვარელ სამშობლოში დაბრუნება. მუხთალმა სიკვდილმა უდროოთ მოგიყვანა ლევილის სასაფლაოზე. ჩემო ვალიკო, აქ შენ მარტო არა ხარ; შენს ახლოს განისვენებენ: დ. ხელაძე, კ. კანდელაკი, ევ. გეგეჭკორი, აკ. ჩხენკელი, შენი მეზობელი ვ. ინწკირველი, არკ. მამფორია.

ცოცხალნი, შენი კარგი მეზობლები კი ამ წუთში შენ საფლავთან დგანან და დაგტირიან: პრ. ინწკირველი, გრ. ბარამიძე, გერ. სურგულაძე (კოდარა), ტარ. ყლენტი და სხვები.

განისვენე ჩემო ვალიკო, წყნარათ და მშვიდათ, მუდამ ჩვენთვის დაუვიწყარო. ამხანაგი.

დ. ხელაძის გადმოსვენება შვეიცარიიდან.

1958 წ. 14 დეკემბერს, შვეიცარიიდან გადმოსვენებული იქნა საფრანგეთში, ლევილის ძმათა სასაფლაოზე ამხ. დათი კოს ცხედარი. დასაფლავებას დაესწრო ქართველი საზოგადოება. სიტყვები წარმოსთქვეს პარიზის ს.-დემ. ორგანიზაციის კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ი. ცინცაძემ და ქართულ სათვისტომოს თავმჯდომარემ ბ-ნ ელ. პატარიძემ.

როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან დათიკო გარდაიცვალა მოულოდნელად შვეიცარიაში და დასაფლავებულ იქნა დროებით ჟენევის ერთ-ერთ სასაფლაოზე. ჩვენმა ჟურნალმა თავის დროზე შესაფერი დაფასება უძღვნა მის მოღვაწეობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიული ცხოვრება.

ჩვენი პარტიული ორგანიზაციებისა და პარტიული ძალების სურვილი,—უცხოეთში განხორციელებულ იქნა.

ხანგრძლივ ცდებისა და მუშაობის შემდეგ ორივე მხრიდან შეთანხმებით შემდგარი, ერთი ცენტრალური ორგანო ამიერიდან უხელმძღვანელებს უცხოეთში პარტიულ-პოლიტიკურ-ეროვნულ მუშაობას.

——

გაერთიანებამ გამოიწვია უდიდესი კმაყოფილება უცხოეთში არსებული ყველა ორგანიზაციებში და ცალკე გაფანტულ პარტიულ ამხანაგებში, მიღებულია მათგან ბიუროს სახელზე—მისალოცი წერილები.

პარიზის ს.-დ. ორგანიზაციების გაერთიანებული კრება.

30 ნოემბერი, 1958 წლისა გახდა ისტორიული თარიღი, საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის წარმომადგენლების და ორგანიზაციების უცხოეთში მოღვაწეობისა.

კრებას ხსნის ბიუროს თავმჯდომარე შალვა აბდუშელი.

შალვა მოუწოდებს ამხანაგებს ფეხზე ადგომით და ერთი წუთის სიჩუმით პატივი სცენ ფინანსთა მინისტრის, ამხ. კოწია კანდელაკის ხსოვნას.

ის აღნიშნავს მოკლე, თბილ სიტყვაში ამ კრების ისტორიულ მნიშვნელობას.

ოცდა ათი წლის დაშორებას ბოლო ეღება. გამთლიანდა პარტიული მუშაობა ხევით—ბიუროში. აქ კი ხდება პარტიული რიგების გაერთიანება.

ეს ნაბიჯი პასუხისმგებლობის შეგნებამ გვიკარნახა.

ამ შეგნებითვე უნდა ავაწყოთ ჰარმონიული, ნაყოფიერი მუშაობა.

ამისთვის საჭიროა წარსული გათიშვის მიზეზებიდან დავივიწყოთ რაც მწარე და უსიამოვნო იყო.

ამას შევსძლებთ თუ დავრჩებით ჩვენი პარტიული ტრადიციების ნიადაგზე.

ჩვენი ქვეყნის თავისუფლების, 26 მაისის აღსადგენათ ჩვენ გვაწევს დიდი მოვალეობა.

ამ დიადი მიზნის მიღწევა გახდება შესაძლებელი მხოლოდ გულწრფელი, ხელი ხელ ჩაკიდებული მუშაობით.

ამხ. შალვას, აღფრთოვანებით წარმოთქმული: «გაუმარჯოს საქართველოს, გაუმარჯოს ჩვენს პარტიას»—იწვევს ერთობის სიხარულით შეპყრობილ დამსწრე 48 ამხანაგის მიერ, ეროვნულ ჰიმნის დიდების შესრულებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიუროს მეორე თავმჯდომარე, ამხ. პ. სარჯველაძე აღნიშნავს თუ რამდენი ზიანი მიაყენა ჩვენს საქმეს პარტიულმა დაშლილობამ.

თუ წარსულში მას ჰქონდა «რეზონ დეტრი», შედარებით უმტკივნელო იყო, მომავალში მისი გაგრძელება დამღუპველია.

ჩვენი პარტიული ტრადიციის მიხედვით უფრო ნორმალური იქნებოდა; ერთობა პარტიული რიგების გაერთიანებით მომხდარიყო. სამწუხაროდ, მრავალი ასეთი ცდები წარსულში უშედეგოთ გათავდა.

ამიტომ ჩვენი საქმის სიყვარულმა და პასუხისმგებლობამ გვიკარნახა გვეცადა გაერთიანება ზევიდან.

ამას მივაღწიეთ, შედგა გაერთიანებული საზღვარგარეთელი ბიურო.

მისი პირველი ამოცანაა პარტიული რიგების გაერთიანება.

ამ მიზნით მოგიწვიეთ, რომ შესდგეს ერთი, მთლიანი, პარიზის ორგანიზაცია და აირჩიოთ ხელმძღვანელი ორგანოები—კომიტეტი და სარევიზიო კომისია.

ეს გაგვიადვილებს ჩვენი მძიმე მოვალეობის შესრულებას,—ეროვნული დროშის ტარებას და ჩვენი ვალის მოხდას. ჩვენი ტანჯულ სამშობლოს წინაშე.

ის კითხულობს ამხ. ნ. ორაგველიძის წერილს, რომელიც მწუხარებას გამოსთქვამს რომ ავადმყოფობის გამო კრებას ვერ ესწრება და მიესალმება გაერთიანებას.

ამხ. ორაგველიძე, ს. ასათიანთან ერთად წევრია გაერთიანებისთვის მზრუნავ კომისიის, აკაკი ჩხენკელის თავმჯდომარეობით.

კრების თავმჯდომარე, ამხ. აბდუშელი აღნიშნავს კომისიის მიერ ჩატარებულ მუშაობას, რამაც დიდათ ხელი შეუწყო მიღწეულ ერთობას და მადლობას უცხადებს კომისიის წევრებს.

კრება ერთსულოვანი ტაშით უერთდება მას.

ამას მოყვება აზრთა გაცვლა-გამოცვლა პროცედურაზე და კრების წესრიგის გამო, რის შემდეგ სიტყვა ეძლევა ნ. ცინცაძეს, რომელიც დაუფარავი მღელვარებით მიმართავს კრებას. მიმი სიტყვა (რომელიც მცირე შემოკლებით მოთავსებულია ქვემოთ) თავის არსებით გამოხატავს შეთანხმების დეკლარაციის ძირითად დებულებებს... ორატორის განცხადებით ეს ის პოლიტიკური ხაზი და ტაქტიკაა, რომლითაც ჩვენ ერთად და შეთანხმებით ვხელმძღვანელობდით ეროვნულ საბჭოს საქმიანობაში. ორატორი რწმენას გამოსთქვამს, რომ დღევანდელი აქტი აღნიშნულ თანხმობას სრულ ჰარმონიათ აქცევს და მით წარმატებას მიანიჭებს ჩვენს საერთო საქმეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ რწმენას და იმედს ადასტურებს კრება ერთსულოვანი ტაშით, და ირჩევს კომიტეტს შემდეგი შემადგენლობით:

იოს. ცინცაძე, ნ. ორაგველიძე, გრ. წერეთელი, ქრ. იმნაიშვილი, გ. ჟორდანია, ჟ. ასათიანი.

ამხ. შალვა უსურვებს კომიტეტს ნაყოფიერ მუშაობას და ხურავს კრებას.

დამსწრე.

ამხ. ნოე ცინცაძის სიტყვა.

დღეს ეყრება საფუძველი ჩვენი—სოციალდემოკრატიული—რიგების მჭიდროთ შეკვრასა და თავის მოყრას ერთ ორგანიზაციაში, ერთ ოჯახში. ეს აქტი ნაკარნახევია ჩვენი საქმის, ჩვენი ერის უზენაეს ინტერესებით; ის ნაკარნახევია საერთო მდგომარეობით გარემოში... რაც ჩვენ გვაშორებდა ლტოლვილობის საგრძნობ მანძილზე,—ისტორიას უნდა მივაკუთვნოთ! ის განსჯის და მიუდგომელ, პირუთვნელ დაფასებას და მსჯავრსაც დასდებს. ჩვენც მას მივენდოთ.

დღეს კი, ბრძოლის ახალ ეტაპზე, ჩვენ შევეცდებით მაქსიმალურათ განხორციელებულ მთლიანობაში ვპოვოთ თუ გამოვჭედოთ ახალი ძალა და მორალი ჩვენი მისსიის წარმატებით და ღირსეულათ მომართვისთვის.

ჩვენ ხომ ერთი და განუყოფელი ვართ დღეს ისე, როგორც გუშინ, ჩვენ მისწრაფებაში! ეს არის მიზანი და ურყევი მისწრაფება ქართველი ერისა—დაიბრუნოს ძალით მოტაცებული თავისუფლება და დამოუკიდებლობა, აღადგინოს დემოკრატიული რესპუბლიკა სოციალურ სამართლიანობაზე დაყრდნობილი.

ჩვენ ერთი ვართ იმ რწმენაში, რომ ჩვენს დროში და ჩვენსავით უცხო უღლისაგან განთავისუფლებისათვის არსებობს ერთი მთავარი გზა—გზა დემოკრატიისა, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს ერის ნების ყოფას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ და მისივე თვით-მოქმედებას ამ მიმართულებით.

ამ ხაზთან შეფარდებით ქართველმა ერმა მის მიერ წარმოებულ შეუჩერებელ ბრძოლით ღირსეული ადგილიც მოიპოვა საერთო განმანთავისუფლებელ მოძრაობაში, რომელიც სწარმოებს ადამიანისა, ხალხის და ერის თავისუფლების დროშის ქვეშ და რომლის უშუალო მიზანს შეადგენს მოსკოვის დიქტატურისა და კომუნისტურ ტირანიის მოშლა, მოშლა უკანასკნელ კოლონიალურ იმპერიისა მსოფლიოში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ ერთი ვართ და გვაერთებს ის შეგნება, რომ სხვა, ჩვენ მოძმე ერებთან ერთად, გვაწევს მოვალეობა ხელი შევუწყოთ საბჭოთა იმპერიის ყველა ერთა სასიცოცხლო ძალების თავის მოყრას და შეკავშირებას დასახულ მიზნისა და მისწრაფებათა გარშემო.

ჩვენ ღრმათ გვრწამს და ამ რწმენაში ერთი ვიყავით და ვიქნებით, რომ წარმოებულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში ჩვენს-ტრადიციულ ერთაშორისი სოლიდარობის გზიდან გადახვევა შეუფერებელი და შეუთავსებელი იქნება ჩვენი ერის სწორათ გაგებულ ინტერესებთან ისე, როგორც ის შეუთავსებელია ჩვენი პარტიის სახელოვან წარსულთან.

ჩვენ არ გვავიწყდება, რასაკვირველია, და აქაც ერთი ვიქნებით გადაწყვეტილებაში, რომ მიზან-შეწონილი პროპაგანდითა და შესატყვისი საქმიანობით მოვუპოვოთ ჩვენს საქმეს მეტი აქტიური სიმპატიები და ყოველგვარი მორალური დახმარება საერთაშორისო დემოკრატიის რიგებში და თავისუფალ კაცობრიობის სექტორში, საერთოდ.

დასასრულ, ჩვენ დღეს ისე, როგორც წარსულში, ვალიარებთ ჩვენს წმიდა მოვალეობათ, რომ ჩვენი გულის ყური საგანგებოთ მივაპყროთ იქეთ, სადაც გვეგულება მუდამ ჟამს ჩვენი ერის ერთგული მეგობარი—სოციალისტური დიდი ოჯახი—რომელმაც საქართველოს თავისუფლების და სუვერენობის საკითხი კაცობრიობის სინიდისის საკითხად გამოაცხადა.

ჩვენ გვრწამს, რომ ამ რიგათ შეკრული ჩვენი რიგები საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის ღირსეული მემკვიდრე გახდება და წარსული, ხშირათ მწარე, გაკვეთილებით შეიარაღებული შეძლების ფარგლებში თავის-საგრძნობ წვლილს შეიტანს ერის განთავისუფლების საქმეში.

——

კვირას I თებერვალს, შესდგა პარიზის სოც.-დემ. ორგანიზაციის კრება სადაც ამხ. კ. ქავთარაძემ გააკეთა მოხსენება შემდეგ თემაზე: «ეროვნული პოლიტიკის ძირითადი საფუძვლები». რომელსაც მოჰყვა ცოცხალი აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რამაც ნათელჰყო, თუ რამდენად ძლიერია იდეიურ-იდეოლოგიური მოთხოვნილება-მისწრაფება ჩვენს რიგებში. კამათში მონაწილობა მიიღეს ამხანაგებმა: ლ. ჟღენტი, ვ. ლაბაძე, ვ. ჩუბინიძე, ჭ. ასათიანი, ნ. ციცაძე, მ. ბერიშვილი, გრ. ურატაძე, პ. სარჯველაძე, გ. ბოლქვაძე გრ. წერეთელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქართველოგბა უცხოეთში.

«საბჭოთა კავშირის ერთა განმათავისუფლებელი ლიგა»-ს ოფგანო ინგლისურ ენაზე.

ჩვენ მივიღეთ ლიგის ჟურნალი № 1 სახელწოდებით: «საბჭოთა კავშირის ერთა პრობლემები». ამ ნომერში მოთავსებულია, სხვათა შორის, ჩვენი თანამემამულის («გურული»-ს ფსევდონიმით), ვრცელი წერილი «საბჭოთა კოლონიალიზმ»-ზე. ამ ეტიუდში მოცემულია დახასიათება-ანალიზი იმ ავათმყოფურ იმპერიალისტურ ექსპანსიისა, რომლითაც დაძაღლვულია საბჭოთა კავშირი, როგორც მეოცე საუკუნის ნამდვილი დაწმენდილი კოლონიალური სახელმწიფო.

სხვა წერილები წარმოადგენენ უმთავრესად ცოცხალ ილიუსტრაცია-მოწმობას თვითეულ ერის ცხოვრებიდან იმისა თუ რა მწვავე და სუსხიან ფორმებს იღებს ეგრედ წოდებული «ფედერატიულ» რესპუბლიკებში მოსკოვის კოლონიალური ჩაგვრა და ექსპლოატაცია.

საფრანგეთის ქართულ სათვისტომოში.

ამა წლის 22 მარტს შესდგა საფრანგეთში მცხოვრებ ქართველთა სათვისტომოს წლიური საარჩევნო კრება. სათვისტომოს თავმჯდომარემ ბ. ელ. პატარიძემ გააკეთა ვრცელი მოხსენება სათვისტომოს გამგეობის მოღვაწეობის შესახებ. სარევიზიო კომისიის მოხსენების შემდეგ კრებამ ერთხმად მადლობა გამოუცხადა თავმჯდომარეს და გამგეობას გაწეულ შრომისთვის, რის შემდეგ მოხდა გამგეობის წევრთა არჩევა.

სათვისტომოს თავმჯდომარეთ ერთხმად არჩეულ იქნა ექ. იოსებ ცინცაძე. გამგეობისწევრებათ: ქ. ბარნოვი, ლ. ფაღავა, გოგი წერეთელი, თ. ანთაძე, მ. ჩუბინიძე, როს. წერეთელი, მ. სტურუა, ინ. პაპუაშვილი და არ. გედევანიშვილი. სარევიზიო კომისიაში: ალ. კინწურიშვილი, დ. კლდიაშვილი და ვ. წილოსანი.

მწერალთა და ჟურნალისტთა კავშირში.

გასული წლის 23 ოქტომბერს მწერალთა კავშირმა მოაწყო პ. სარჯველაძის მოხსენება, შემდეგ თემაზე: «საბჭოთა ლიტერატურის მიმდინარე ვითარება». მოხსენებამ გამოიწვია სათანადო ინტერესი. კრებას თავმჯდომარეობდა ვ. ლაბაძე.

——

გასული წლისნოემბერს ამავე კავშირის გამგეობამ გამართა საბა-სულხან ორბელიანის დაბადების 300 წლის თავის

n 97/41

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღსანიშნავად საზეიმო კრება. სადაც შინაარსიანი მოხსენებით გამოვიდენ ბ. ბ. მ. გრიგოლია, გ. კერესელიძე, გოგი წერეთელი ქართულ ენაზე და ბ. ლ. ზურაბიშვილი ფრანგულ ენაზე. მათ შესაფერისად შეაფასეს საბა-სულხან ორბელიანის სახელმწიფო და სამწერლო მოღვაწეობა.

ალ. კორძაიას მოხსენება.

მიუნხენიდან გვატყობინებენ, რომ ამხ. ალ. კორძაია მონაწილეობას იღებდა იმ კომისიაში, რომელმაც შემოიარა დასავლეთ გერმანიის ქალაქები მოხსენებებმთ, რომლის მიზანი იყო უნგრეთის რევოლიუციის წლის თავზე, საბჭოთა იმპერიალისტურ და კოლონიალურ პოლიტიკის მხილება.

კერძოთ ამხ. სანდრო თავის გამოსვლებში ახსენებდა დამსწრეთ საქართველოზე ვერაგულად თავდასხმას და მის დაპყრობას. როგორც კომისიის სხვა წევრების ისე ამხ. სანდროს მოხსენებას ყველგან თანაგრძნობით შეხვდა გერმანიის ადგილობრივი პრესა.

ჟან-მარტენის 80 წლის თავი.

საქართველოს დაცვის ინტერნაციონალურ კომიტეტის თავმჯდომარეს ჟან მარტენს გასულ წელს შეუსრულდა 80 წელი, ეს დღე მას მიულოცეს საფრანგეთის ქართულ სათვისტომოს თავმჯდომარემ ბ. ელ. პატარიძემ. საქ—ს სოც.-დემ. პარტიიდან—პარიზის კომიტეტმა და საზღვარგარეთელ ბიუროს დავალებით—მისმა პრეზიდიუმმა.

ჟან-მარტენმა ყველას მხურვალე მადლობის წერილი გამოუგზავნა.

პროფ. მ. წერეთელის 80 წლის თავი.

საქართველოს სოც.-დემოკ. პარტიის საზღვარგარეთელ ბიუროს სახელით შ. აბდუშელმა და პ. სარჯველაძემ მილოცვის წერილი გაუგზავნეს მცხოვან პოლიტიკურ მოღვაწეს და მეცნიერების დაუღალავ მუშაკს პროფ. მიხეილ წერეთელს, მისი 80 წლის შესრულების გამო—რომლისგან მიიღეს მხურვალე სამადლობელი წერილი.

ბ. ალ. კინწურიშვილის მოხსენება.

ამა წლის 22 თებერვალს პოლონელების სახლში ყოფ. მხედართა კავშირის თავმჯდომარე ბ. ალ. კინწურიშვილი კავშირის კრებაზე გამოვიდა შემდეგი მოხსენებით: «შესაძლებელი მომავალი ომის ფორმები და შუა-აღმოსავლეთის სტრატეგიული მნიშვნელობა».

კრებაზე დაესწრენ სპეციალურად მოწვეული პირები სხვა და სხვა ორგანიზაციებიდან. მოხსენება იყო ფრიად შინაარსიანი და მრავალი ფაქტებით დასაბუთებული.

მოხსენების შემდეგ მოხდა აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინდია ლაშაურის შრომა.

რედაქციამ მიიღო მ. ლაშაურის ახალი ნაშრომი, «წმინდა ნინო», რომელშიც მოკლეთ და მარტივად განმარტებულია მრავალი ისტორიული საბუთები. უსურვებთ ავტორს, კვლავ შესძლოს ლიტერატურულ-ისტორიული კვლევა.

სალიტერატურო კრებული.

ბ. გ. კობახიძის რედაქტორობით და საერთო ხელმძღვანელობით ამერიკაში გამოვიდა მოზრდილი კრებული, რომელშიც მოთავსებულია ნიმუშები პოეზიიდან, ისტორიული ნარკვევები, მოგონებები და სხვა ფრიად საინტერესო მხატვრული ღირსების წერილები.

ასეთი შინაარსიანი კრებულის გამოცემა დღევანდელ პირობებში მოწმობს, ემიგრაციაში კულტურულ ძალების საკმაოდ ყოფნას და აგრეთვე ტეხნიკურ დაბრკოლებათა გადალახვის შესაძლებლობას—თუ არსებობს თავდადებული შრომა და საქმის სიყვარული.

ჩვენი სურვილია ბ. გ. კობახიძემ გააგრძელოს თავისი შრომა დაწყებული გზით...

* * *

«ჩვენი დროშა»-ს ფონდი.

მიუნხენის ს.-დ. ორგანიზაციისაგან 200 გერ. მარკა.	
სოშოს ს.-დ. ორგანიზაციისაგან	6.000 ფრ.
პარიზის ს.-დ. ორგანიზაციის კომიტეტისაგან	5.000 ფრ.
ლიონის ს.-დ. ორგანიზაციისაგან	3.000 ფრ.
ქ-ნ იულია კობახიძისაგან სხვადასხვა დროს	2.000 ფრ.
ქ-ნ ქეთო ვაჩნაძისაგან	1.000 ფრ.
ბ-ნ ერმალოზ ყავრელიშვილისაგან	1.000 ფრ.
ანტონ ჟორჟოლიანისაგან	1 000 ფრ.
სოშოს ორგანიზაციისაგან (მეორეჯერ)	1.000 ფრ.
ერეთეოზ რამიშვილისაგან 2 დოლარი.	
გ. ჟორდანიას შეგროვილ გვირგვინების თანხიდან გადარჩენილი 20 გერმ. მარკა და	2.200 ფრ.
სულ 2 დოლარი, 220 გერ. მარკა და	22.200 ფრ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოწირულება.

კ. კანდელაკის დაკრძალვის ხარჯებისათვის მივიღეთ: ბ. გრ. ბერიძისაგან 30 000; ქ-ნ ქს. სასანიასაგან 12 000; ქ-ნ მიქელაძისაგან 10 000; ბ-ნ ბერიკაშვილისაგან 5.000; სოშოს ქარ. სათვისტომოსაგან 5.000; ალ. შათირიშვილისაგან 2 000; გრიგ. ქვარცხავასაგან 2.000; ილ. სალუქვაძისაგან 2 000; შოთა ქურ-ციკიძისაგან 1.000; დ. დუიშვილისაგან 1 000; ვალ. სალუქვაძისაგან 1.000; მამედ ჯინჭარაძისაგან 1.000; ბესილ ანჯულატისაგან 500; სევ. ჭირაქაძისაგან 500; ევტ. აბულაძისაგან 500 და დიომ. კვეროელიძისაგან 500. სულ 75.000 ფრანკი.

გ. ერაძე.

მადლობის გამოცხადება.

მედეა და დავით ურატაძე ულრმეს მადლობას ვუცხადებთ მეგობარ-ნაცნობებს, ამხანაგებს და ორგანიზაციებს, რომლებმაც პირადი დასწრებით თუ დეპეშა-წერილებით თავიანთი თანაგრძნობა გამოგვიცხადეს ძვირფასი მამისა და ბიძის გრიგოლ (გრიშა) ურატაძის გარდაცვალების გამო.

მ. ურატაძე, დ. ურატაძე.

ნიკოლოზ (კოლა) იოსებისძე ბარნოვის გარდაცვალებით ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე ელენე ესტატე გოჩიტაშვილის ასული, შვილები: მარიამი და ქეთევანი, სიძე მირიან მელუა, შვილიშვილები: ლუკა, მირიანი და ელიკო მელუები უუგულითადეს მადლობას უძღვნიან ქართულ სათვისტომოებს, პოლიტიკურ პარტიებს და ყველა მეგობრებსა და ნაცნობებს, რომლებმაც შესანიშნავი გრძნობიერებით წარმოთქმული სიტყვებით, პირადათ დასწრებით თუ მანუგეშებელი დეპეშებისა და წერილების გამოგზავნით გაიზიარეს მათი თავზარდამცემი მწუხარება.

გრიშა ურატაძის წიგნი:

„ნამდვილი და ყალბი ისტორია"

მსურველს შეუძლიან შეიძინოს ის. ქარსელაძესთან

M-r Karseladsé

Leuville sur-Orge (S. et O.)

ფული და დასაბეჭდი მასალები უნდა გამოგზავნოს შემდეგი მისამართით:

P. Sardjveladzé.

35, rue de l'Aude 35. Paris (14)

Imprimerie Coopérative Arpajonaise, Arpajon.